ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N33

ქ.თბილისი 15 დეკემბერი, 2023 წელი
10^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე	არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია	მამუკა გუგეშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე	მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე	ზვიად კუპრავა
კახაბერ ლაბუჩიძე	ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე	ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ნინო წულაძე
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, სრულიად საქართველოს მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და აღნიშნა, რომ ეს ისტორიული გადაწყვეტილება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად გახდება ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, ეროვნულ ფასეულობებზე და მართლმადიდებლურ ტრადიციებზე დაფუძნებული ქვეყანა - ისეთი, როგორზეც ოცნებობდნენ ჩვენი გმირები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს საქართველოს. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ევროპელ პარტნიორებს აღიარებისთვის და თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში და განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, ესენი არიან: საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობა და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი. მან ასევე, მადლობა გადაუხადა იმ ათასობით საჯარო მოხელეს, რომლებმაც ბევრი იშრომეს იმისთვის, რომ გატარებული რეფორმები მოსულიყო სისრულეში და ჩვენს ქვეყანას მიეღო დადებითი შეფასება. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ 2023 წელი იყო გამორჩეული და წარმატებული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროექტებით და რეფორმებით, აღნიშნა, რომ დღეს საკრებულო მოისმენს თბილისის მერის ანგარიშს და იმსჯელებს თბილისის 2024 წლის ბიუჯეტზე, რომელიც არის უპრეცედენტოდ მაღალი, რაც მუნიციპალიტეტს აძლევს მეტ შესაძლებლობას, რომ მომავალ წელს განახორციელოს კიდევ უფრო მეტი პროექტი. საუბრის ბოლოს, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“;

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელი: კახა კალაძე
თანამომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა“. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, კახა კალაძე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სრულიად საქართველოს მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და აღნიშნა, რომ ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ევროპელმა პარტნიორებმა გვითხრეს, რომ საქართველო არის ევროპის ნაწილი, რომელიც იმსახურებს ღირსეულ ადგილს დიდ ევროპულ ოჯახში. საქართველომ ისტორიული არჩევანი საუკუნეების წინ გააკეთა, დღეს კი გვაქვს შედეგი, რომელიც ჩვენი წინაპრების, საქართველოს მოსახლეობის და ხელისუფლების საერთო ძალისხმევის შედეგია. ეს არის იმ რეფორმების დამსახურება, რომლებიც მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა გასწია, პარტია „ქართული ოცნების“ დაპირება შესრულებულია, ჩვენი ქვეყანა არასდროს მდგარა ასე მტკიცედ ევროინტეგრაციის გზაზე. კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა თითოეულ საჯარო მოხელეს, ვინც ჩართული იყო რეფორმების განხორციელების მნიშვნელოვან პროცესში, ყველა პარტნიორს, ვინც გულშემატკივრობდა ჩვენს ქვეყანას, ევროპულ საბჭოს მიღებული გადაწყვეტილებისთვის და განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყისი, რამაც ერთხელ და სამუდამოდ

საქართველო უნდა დააყენოს ევროპული მომავლის რელსებზე. კახა კალაძემ აღნიშნა, რომ მისთვის პატივია კიდევ ერთხელ წარსდგეს საკრებულოს წინაშე და თბილისის მოსახლეობას ჩააბაროს ანგარიში - რა პროექტები განახორციელა მუნიციპალიტეტმა 2023 წელს და რის გაკეთებას გეგმავს მომდევნო 2024 წელს. ისაუბრა ინფრასტრუქტურის მიმართულებაზე და აღნიშნა, რომ 2023 წელს, დედაქალაქში მოწესრიგებული გზების ფართობი შეადგენს 825000 კვ.მ.-ს; რეაბილიტირდა 590 ქუჩა, გამზირი, აღმართი და ხიდი, დამატებით მოეწყო 22 ახალი ქუჩა, კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 26 ქუჩაზე, ხოლო ორმოული შეკეთების სამუშაოები - 742 ობიექტზე. აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად თბილისის ბიუჯეტიდან გაწეული ფინანსური ხარჯი შეადგენს 100 მილიონ ლარზე მეტს; გარდა ამისა, 26 მილიონი ლარი იქნა მიმართული ავარიული შენობა-ნეგებობების გასამაგრებლად; საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოებისთვის მიმდინარე წელს დაიხარჯა 33 მილიონი ლარი, მათ შორის, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს წარმოადგენს: ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები; დიდუბის რაიონში, შალიკაშვილის სახელობის ხიდის რეაბილიტაცია; მდინარე მტკვარზე მდებარე მშვიდობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2023 წელს თბილისის მერიის მიერ, გამწვანების სამუშაოები განხორციელდა 40 ჰექტრამდე ფართობზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 პარკს, 329 სკვერს და 82 სპორტულ მოედანს; დაირგო 114730 ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი; 207000 კვ.მ. ფართობზე მოეწყო სარწყავი სისტემა და ამავე ფართობზე დაირგო ბალახის საფარი; თბილისის გარშემო არსებული ტყის აღდგენა-განაშენიანების პროექტის ფარგლებში, 17 ჰექტარზე განხორციელდა გამწვანების სამუშაოები; ლისის ტბის მიმდებარედ არსებულ 16 ჰექტარ ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების ტყის აღდგენა-განაშენიანების სამუშაოები - დაირგო სხვადასხვა სახეობის 16776 ნერგი და მომავალი წლების განმავლობაში, მათ მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს დედაქალაქის მერია. 2023 წელს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის პროეტით ჯამში დაფინანსდა 1750 განაცხადი, რაზეც დაიხარჯა 45 მილიონი ლარი. მიმდინარე წელს, ჯანდაცვის პროგრამებში ჯამურად დაიხარჯა 81740000 ლარი, რაიონული გამგეობების დონეზე დაკმაყოფილდა ბენეფიციართა 30000-მდე განაცხადი ერთჯერადი ფინანსური დახმარების თაობაზე, 33000-მა ბენეფიციარმა მიიღო მედიკამენტების დაფინანსება. 2023 წელს, სპორტის მიმართულებით, თბილისის მერიის მხარდაჭერით, განხორციელდა 240 სპორტული ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღო 78000-მდე ბენეფიციარმა; დაფინანსდა 34 სპორტული ორგანიზაცია და ფედერაცია სპორტული ინვენტარისა და ეკიპირების შესაძენად, ხოლო 6524 ბენეფიციარი იქნა დაკმაყოფილებული ინვენტარით და ეკიპირებით სარგებლობით; სამსახურის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ სპორტულ ცენტრებში, განხორციელდა სპორტული მედიცინის დანერგვის საპილოტე პროგრამა, რომელიც გულისხმობს სპორტში ჩართული ბენეფიციარების კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებას და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არის უფასო, რათა ხელი შეუწყოთ მათ ჯანმრთელობას; 2022 წელს დაიწყო და წარმატებით გრძელდება პროგრამა „სპორტი უფროსი თაობისათვის", რომლის ფარგლებშიც 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეები უფასოდ სარგებლობენ საცურაო აუზით, ფიტნეს დარბაზით და ამ პროგრამაში ჩართულია, როგორც მუნიციპალური, ასევე, კერძო აუზები და ფიტნეს დარბაზები; დასრულების ეტაპზეა მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომსა და ვარკეთილში; დიღმის მასივში, III კვარტალში მიმდინარეობს მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; გარდა ამისა, 2023 წელს ვარკეთილის დასახლებში, II მ/რ-ში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ის და ლიბანის ქუჩა N11-ის მიმდებარედ დასრულდა სკეიტ მოედნების მოწყობის სამუშაოები; მიმდინრე წელს, ასევე დასრულდება ვაზისუბნის დასახლებაში და დიდ დიღომში, IV კვარტალში, ღია ტიპის სკეიტ მოედნის სამშენებლო სამუშაოები და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სამი პადელის მოედნის, ხოლო ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები; დასრულების ეტაპზეა ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები; სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 5 სპოტულ

ცენტრს, ხოლო ტექნიკით და ინვენტარით აღიჭურვა 3 სპორტული ცენტრი; სოფელ დიღომში მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2024 წელს და ასევე, დასრულდება გუმათჰესის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება; 2023 წელს, ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სხვადასხვა სახეობის 350 მწვრთნელს, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს; სპორტის 32 სახეობაში, ყოველთვიურად ფინანსდება 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული 250 წარმატებული სპორტსმენი. 2023 წელს, განათლებისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, გაგრძელდა მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელება - სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 4000-ზე მეტი სტუდენტი; 617 წარმატებულ მაგისტრანტს, ფინანსური წახალისების მიზნით, გამოეყო თანხა; გრძელდება პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება, მათ შორის, „ისწავლე და დასაქმდი“, რომელსაც მიმდინარე წელს დაემატა რამდენიმე ახალი მიმართულება და 2023 წელს 60-ზე მეტ პროფესიულ სპეციალობაში ჩაერთო 2500-მდე მოქალაქე; ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, დასვენების, რეკრეაციისა და გართობის მიზნით, ხორციელდება საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამები და ფესტივალები, მათ შორის, ახალგაზრდული პროგრამების ფარგლებში 6000-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო მათთვის საინტერესო აქტივობებში - ლაშქრობები, საველე ბანაკები, საჯომარდო ტურები, ველო ტურები, კარტინგები და საცურაო აუზები. ხოლო 30000-ზე მეტი ახალგაზრდა სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა მასშტაბური თემატური ფესტივალების განხორციელებაში - თბილისის სტუდენტური ფესტივალი, ქუჩის ხელოვნების ფესტივალები და ღია ცის ქვეშ ახალგაზრდული ფესტივალები სხვადასხვა უბანში; მუნიციპალური სერვისების ხარისხის სასწავლო და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის განვითარება - ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, რომლის პირველი ეტაპი დასრულებულია, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები და განხორციელდება ეზოს სრული მოწესრიგება-განახლება, მეორე ეტაპის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს. კულტურის პროგრამებისა და პროექტების მიმართულებით, კულტურის სფეროს განვითარების პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე პერიოდისთვის, დაფინანსდა 260-მდე პროექტი, მათ შორის, 20 მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტი, 40-ზე მეტი სპექტაკლი, 50-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფესტივალი, 130-მდე საიუბილეო და შემოქმედებითი, 20 ეთნიკური უმცირესობის მიმართულებით - გაცვლით საკონკურსო და სხვა ტიპის პროექტი. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად მოხდა „სტრიტ არტის“ მიმართულების პროექტებისთვის განაცხადების დამოუკიდებლად მიღება, შესაბამისი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ მიმართულებით დაფინანსდა 2 ფესტივალი და 4 შედარებით მცირე ზომის პროექტი; მიმდინარე წელს, ტრადიციულად, ორ ეტაპად განხორციელდა კონკურსი „შემოქმედებითი თბილისი“, რომლის ფარგლებშიც არსებულ ოთხ მიმართულებას გამოეყო „მედია არტი“ და ამ მიმართულებით დაფინანსდა 17 პროექტი, ხოლო კონკურსის დანარჩენ სამ მიმართულებაში - საგამომცემლო საქმიანობა, დიზაინი და რეწვა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, წლის განმავლობაში, დაფინანსდა 41 პროექტი; ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების მიმართულებით დაფინანსდა 15 პროექტი, როგორც სახელოვნებო, ასევე, საგანმანათლებლო და სააღმზრდელო კომპონენტები; ამასთანავე, დაფინანსდა უსინათლოთა პერიოდული ჟურნალი „სინათლის“ გამოცემა. მიმდინარე წელს, დედაქალაქის მასშტაბით, კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით განხოციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები: მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2024 წელს; 20-ზე მეტი სკოლისთვის შეძენილია სხვადასხვა ინვენტარი და ინსტრუმენტები; ხელოვნების 10 სკოლაში განხორციელდა მცირე სარემონტო სამუშაოები; მიმდინარეობს ილია ჭავჭავაძისა და მერაბ

კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმების სრული რეაბილიტაცია, რომელიც დაიწყო 2022 წელს და დასრულდება 2024 წელს; მიმდინარეობს სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმებისთვის გამოყოფილი ფართის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რაც დასრულებული იქნება 2024 წლისთვის; განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების N18 და N6 ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და სრული აღჭურვა; მიმდინარე წლის მარტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნდა საჯარო ხელოვნების ფონდი, რომლის მიზანია თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია - გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი ზრდის წახალისება, საჯარო სივრცეებში თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების შექმნა, ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სივრცეებში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება, რომლის ფარგლებშიც, ამ ეტაპისთვის უკვე განხორციელდა ორი პროექტი და, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა. 2023 წელს, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ავტოპარკის განახლების ფარგლებში, შესყიდული იქნა 26 ერთეული სპეცმანქანა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 9288638 ლარი; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დახმარებით, 2024 წლის განმავლობაში, ეტაპობრივად მოხდება 65 ერთეული სპეცტექნიკის მოწოდება და მათივე დახმარებით, 2024 წლის პირველ კვარტალში, დაგეგმილია ბელიაშვილის ქუჩაზე არსებული ნარჩენების გადამტვირთი სადგურის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება, ხოლო 2024 წლის მესამე კვარტალში იგეგმება დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების გაწმენდის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყება; წელსვე, ბოჭორმის ქუჩაზე, დამონტაჟდა 23 ერთეული მიწისქვეშა ურნა; წერეთლის გამზირზე დაიწყო მიწისქვეშა კონტეინერების სისტემის მოწყობა, რომლის ფარგლებში განთავსებული იქნება 200 ერთეული ნარჩენების ურნა; მიმდინარე წელს, ქალაქის მასშტაბით, საერთო ჯამში, განთავსდა 3920 ნაგავშემკრები კონტეინერი, ხოლო წლის ბოლოსთვის განთავსდება 2000 ერთეული კონტეინერი, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2172000 ლარი. მიმდინარე წელს, დედაქალაქის მასშტაბით, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობის ფარგლებში, სხვადასხვა მისამართზე, საერთო ჯამში დამონტაჟდა 1105 ერთეული ბოძი, 3020 სანათი, 50000 მეტრი გრძივი სადენი. გზების რეაბილიტაციის ფარგლებში, გარე განათების ახალი ქსელი მოეწყო უნივრსიტეტის ქუჩაზე, კრწანისის ქუჩაზე, უშბას ქუჩისა და მახათის აღმართის დამაკავშირებელ გზაზე ანუ ყველა იმ პროექტის ფარგლებში, სადაც მუნიციპალიტეტი აწარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, პირველ რიგში, ხდება მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება-განახლება, ხოლო შემდეგ ქუჩების კეთილმოწყობა და ახალი განათების დამონტაჟება, რაც მომავალშიც ასე გაგრძელდება; 2023 წელს, თბილისის მასშტაბით დაიხაზა 79520 კვ.მ., მათ შორის არის, როგორც უნივერსიტეტის ქუჩა, ასევე, ყველა ის ქუჩა, სადაც წარიმართა სარეაბილიტაციო სამუშაოები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს და N51 საჯარო სკოლის მხარეს არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის ჩასასვლელ-ამოსასვლელს; ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე დაწყებულია ხის კონსტრუქციის საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - ამ დროისთვის შესრულებულია დემონტაჟის სამუშაოები; 2024 წლის დასაწყისში, დაგეგმილია იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებული საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება; საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის დამონტაჟდა 31 ახალი შუქნიშანი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია აქტიურად აგრძელებს მუშაობას დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილებისა და მათთვის შესაბამისი საცხოვრისის უზრუნველყოფის მიზნით - 2018 წლიდან დღემდე განხორციელდა 60-ზე მეტი სამშენებლო ობიექტის პრობლემატიკის შესწავლა და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების განსაზღვრა, რომლის ფარგლებში 12000-ზე მეტი დაზარალებული ოჯახი მიიღებს კუთვნილ საცხოვრებელ ფართს. მიმდინარე წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შპს „ათორის“ და მასთან დაკავშირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებასა და ამ მშენებლობების

ფარგლებში, 300-ზე მეტი ოჯახის დაკმაყოფილებაზე უკვე მიღებულია გადაწყვეტილებები - დაზარალებულ პირთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისთვის შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც 2023 წლის დეკემბერში შეთანხმდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. ურბანული წესრიგის დაცვა, სამშენებლო საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს - მიმდინარე წლის განმავლობაში შესწავლილი იქნა 1108 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე და გამოიცა შესაბამისი დაჯარიმების დადგენილება, რომლის ფარგლებშიც საჯარიმო სანქციების ჯამურმა თანხამ შეადგინა 20801000 ლარი; ასევე, უნებართვო მშენებლობებისა და უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის შეჩერებული იქნა 398 მშენებლობა; განხორციელდა 60-ზე მეტი უკანონოდ აშენებული შენობის დემონტაჟი; გამკაცრდა და პერიოდული მონიტორინგი მიმდინარეობს ქალაქის იერსახის დამახინჯების, გარემოს ნარჩენებით დანაგვიანების, სამშენებლო მტვერით დაბინძურების, მწვანე ნარგავების დაზიანების, აკუსტიკური ხმაურის, გარე ვაჭრობისა და გარე რეკლამის კუთხით და ამ მიმართულებებით მიმდინარე წელს გამოვლენილია 5400-ზე მეტი სამართალდარღვევა და გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები - საერთო ჯამში დაკისრებულია 6071040 ლარის საჯარიმო სანქცია და თითოეულ მათგანს დაევალა სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის გამოსწორება. პრიორიტეტული მიმართულება იყო სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღება - წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა გარკვეული სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების საკითხი სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული დარღვევებისა თუ დარჩენილი მცირე სამშენებლო სამუშაოების გამო, რის გამოც ზარალდებოდნენ მოქალაქეები, რადგან ექსპლოატაციაში მიღების გარეშე, ქონება უფლებრივად სრულყოფილი არ არის და აქედან გამომდინარე, თბილისის მერიის ინიციატივით, შემუშავდა მასშტაბური პროექტი და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141³-ე მუხლით განისაზღვრა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ზემო აღნიშნული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღების დროებითი წესი, რომლის ფარგლებშიც, ორი წლის განმავლობაში, საერთო ჯამში, ექსპლოატაციაში მიღებაზე შემოსულია 1858 სამშენებლო ობიექტი, რომელთაგან უკვე მიღებულია 600-მდე ობიექტი, ხოლო დამატებითი შესწავლის პროცესშია 1000-ზე მეტი სამშენებლო ობიექტი და პროექტის დასრულების შემდეგ 50000-ზე მეტი მესაკუთრე მიიღებს უფლებრივად უნაკლო ქონებას. გარდა დროებითი წესით მიღებული ობიექტებისა, 2023 წელს, მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებაზე შემოსულია 1324 განცხადება, რომელთაგან ექსპლოატაციაში მიღებული იქნა 711 ობიექტი, უარი ეთქვა 276 ობიექტს, ხოლო შესწავლის პროცესშია 292 განაცხადი. თბილისის მუნიციპალიტეტსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს შორის გასულ წელს შემდგარი შეთანხმების მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავს ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვა-მოდერნიზაციას, დასრულდა კვლევითი სამუშაოები და 2024 წლიდან, საერთაშორისო კონსულტანტების მხარდაჭერით, დაიწყება საბოლოო დიზაინის შემუშავება, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივი შესყიდვებისა და დანერგვის სამუშაოების განხორციელება. ამ პროექტის ფარგლებში გამოყოფილია 47000000 ევრო, რომელიც მოხმარდება თბილისისთვის ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის შემდგომ განვითარებას. პროექტი მიზნად ისახავს სისტემის კომპონენტების: ე.წ. ჭკვიანი შუქნიშნების, კამერების, დეტექტორების, ქალაქის მართვის ერთიანი პლატფორმის, მართვის ცენტრის, შესყიდვასა და დანერგვას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შედეგად გაუმჯობესდება საგზაო მოძრაობის, მათ შორის, საცობების რეალურ დროში მართვის შესაძლებლობა, დაინერგება შუქნიშნებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და გადაუდებელი დახმარების მანქანების ავტომატური პრიორიტეტიზაციის სისტემა და მოხდება ჰაერის დაბინძურების შემცირება საგზაო ნაკადების ეფექტურად მართვის გზით. აღნიშნული პროექტის დასრულება იგეგმება 2026 წლის ბოლოსთვის. აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით, დასასრულს უახლოვდება შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები თბილისში მეტროსადგურების განახლებისა და უნივერსალური მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, რომლის ფარგლებშიც, თანამდროვე სტანდარტების შესაბამისად, განახლდება შერჩეული

მეტროსადგურები, რომლებიც იქნება მეტად უსაფრთხო და უნივერსალურად ხელმისაწვდომი, მათ შორის, შეზღუდული მობილობისა და შშმ პირებისთვის, რაც დამატებით წაახალისებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებას და მდგრად მობილობას დედაქალაქის მასშტაბით. მომზადდება შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია მარჯანიშვილისა და ახმეტელის მეტროს მეორე ამოსასვლელებისათვის. ახმეტელის მეტროში, განსაკუთრებით პიკის საათებში, იყო პრობლემა, კერძოდ, მეტროს ჩასასვლელში იყო ადამიანების ძალიან დიდი რიგები და ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება დამატებითი ტურნიკეტების დაყენებასთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე ეს პრობლემა სრულად მოგვარებულია. თუმცა, აზიის განვითარების ბანკთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა მეორე ამოსასვლელთან დაკავშირებით. უკვე დაწყებულია 5 ეტაპიანი კვლევა და ნოემბერში იქნება სრული პროექტი, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ახმეტელის მეტროს მეორე ჩასასვლელ-ამოსასვლელის სამშენებლო სამუშაოებზე გამოვაცხადოთ ტენდერი. დასრულდა თბილისის ტრანსპორტის გეგმაზე მუშაობა, აზიის განვითარების ბანკის მხარადაჭერით, საკონსულტაციო კომპანია „რამბოლის“ მონაწილეობით, შეიქმნა თბილისის სატრანსპორტო გეგმა, რომელიც ეყრდნობა ქალაქის სხვადასხვა რაიონების სატრანსპორტო საჭიროებებს და გვთავაზობს საქალაქო მობილობის გაუმჯობესებისთვის საჭირო მიდგომებისა და ღონისძიებების 20 წლის გეგმას. თბილისის მუნიციპალიტეტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხადაჭერით, თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში, ახორციელებს ავტობუსების რეფორმის მხარდაჭერის პროექტს, კერძოდ, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან ერთად, მზადდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის მარშრუტების დაგეგმვის პროგრამის მოდულის სპეციფიკაციები და ტექნიკური ანგარიშები თბილისის ავტობუსების ქსელის შემდგომ განვითარებაზე, დიდ დიღომსა და ქალაქის ცენტრს შორის ახალი კავშირების განვითარებაზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის რუკები და სხვა მნიშვნელოვანი სქემები. მსოფლიო ბანკის მხარადაჭერით, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია მუშაობს თბილისის აღმოსავლეთ-დასავლეთ შეკავშირების პროექტზე, რომლის ფარგლებში ვითარდება რკინიგზის სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტის მქონე ხიდის კონცეფცია და ასევე, სადგურის მოედნის განახლების კონცეფცია. საპროექტო ხიდი გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მათ შორის, ძირითადად, თბილისის საავტობუსე ქსელის მარშრუტების კავშირს სადგურის მოედნის სატრანსპორტო კვანძთან და შეამცირებს მოცდის დროს. 2019 წელს განხორციელდა 278 მილიონი მგზავრობა (მეტრო, ავტობუსი), ხოლო ეს რიცხვი 2023 წელს გაიზარდა 390 მილიონამდე (მეტრო, ავტობუსი, ბაგების საბაგირო). მიკროავტობუსებით მგზავრობა 2019 წელთან შედარებით, გაიზარდა 4.5-ჯერ და 20 მილიონიდან ავიდა 84 მილიონ მგზავრობამდე. წინა წელს დაიწყო უპრეცედენტო პროგრამა - უსახლკაროთა სტატუსის მქონე ოჯახებისთვის ბინების გადაცემა სარგებლობის უფლებით, რომლის ამოქმედებიდან დღემდე მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 94 ბინა და ამ მიზნით, თბილისის ბიუჯეტიდან დახარჯულია 8000000 ლარზე მეტი. „ქართულმა ოცნებამ“ გასცა დაპირება, რომ თბილისში არ დარჩება არცერთი უსახლკარო ადამიანი და ეს პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ დაპირების შესრულება იყოს შესაძლებელი და ყველა ასეთი ოჯახი დაკმაყოფილდეს მუნიციპალური საცხოვრისით. 2023 წელს, საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 181 ოჯახს, აღნიშნული პროგრამა მუნიციპალიტეტმა დაიწყო 2017 წლიდან, რომლის ფარგლებშიც, 3000-მდე ოჯახს დაუკანონდა ფართი, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებდნენ საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში დაკანონებას. 2023 წელს თბილისის მერიამ დაიწყო 8 ახალი სამშენებლო პროექტი, გამოცხადდა 8 ინტერესთა გამოხატვა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით. ასევე, 2023 წელს დაკმაყოფილდა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული დაახლოებით 620 პირი, ხოლო, პროგრამის განხორციელების დაწყებიდან დღემდე, თბილისის მერიის მიერ, უმრავი ქონებით უზრუნველყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული დაახლოებით 2350 პირი. 2023 წელს, განხორციელდა ვარკეთილის მესამე მასივში არსებული ორი ავარიული კორპუსის ჩანაცვლების პროგრამა, რომლის ფარგლებში ახალი ბინები და რემონტისთვის

საჭირო თანხა, რომელმაც ჯამურად შეადგინა 624910 ლარი, გადაეცემა 41 ოჯახს. 2023 წელს, თბილისის განვითარების ფონდმა მშენებლობის მართვის მიმართულებით განკარგა 40000000 ლარამდე და ამასთანავე, ზემოხსენებულ პერიოდში დასრულდა გუდიაშვილის მოედნის სრული რეაბილიტაცია და ასამდე ოჯახს დაუბრუნდა სრულად რეაბილიტირებული სახლები. თბილისის მასშტაბით, ამჟამად მიმდინარეობს სხვადასხვა ცალკეული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია, როგორებიცაა: მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, აბრეშუმის მუზეუმი, კადეტთა კორპუსი და სხვა. რიგი მათგანის სამუშაოები გაგრძელდება მომავალ წელსაც. 2024 წელს დაგეგმილია ნარიყალას ციხისა და დარეჯანის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ბიუჯეტი დაახლობით 8000000 ლარამდეა; ასევე, რუსთაველის გამზირზე მდებარე 31 შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მთლიანად იქნება მოწესრიგებული მხატვრულ-დეკორატიული კუთხით. „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო დაპირება იყო თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება, რომლის განხორციელებას თბილისის მერია აქტიურად შეუდგა 2022 წლიდან და დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს - პირველი საპილოტე პროექტი ხორციელდება სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, VII კვარტალში, მე-12 კორპუსში, სადაც ავარიული ოთხსართულანი შენობის ნაცვლად, აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლი, რომლის სამშენებლო პროცესი დასრულებულია და ხსენებული კორპუსის მაცხოვრებლებს, რომლებიც დღეს მუნიციპალიტეტს ქირით ჰყავს გაყვანილი, ძალიან მალე მიეცემათ შესაძლებლობა იცხოვრონ ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსში, გარემონტებულ და მოწესრიგებულ ფართებში. ასევე, სამშენებლო პროცესი აქტიურ ფაზაშია კალოუბნის ქუჩა N18-ში, სადაც განხორციელდა არსებული სამსართულიანი ავარიული შენობის დემონტაჟი და აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლი. საბურთალოს რაიონში დასრულებულია სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს სამშენებლო მოედნის მოწყობის სამუშაოებს. ავარიული შენობების ჩანაცვლების კუთხით, დეკემბრის თვეში, დაგეგმილია სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მესამე მასივი, IV კვარტალი, კოპრუსი N6-ში. 2024 წლისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება აქტიურ ფაზაშია 12 მისამართზე, ხოლო წლის ბოლომდე, დამატებით 8 მისამართზე გამოცხადდება ტენდერი. 2023 წლის მანძილზე, აზომვითი სამუშაოები განხოციელდა 40-მდე მისამართზე, ხოლო პროექტის ფარგლებში, ჯამურად, დაახლოებით 100-მდე მისამართიდან ფიქსირდება მომართვიანობა და თითოეულ მათგანზე მიმდინარეობს მესაკუთრეების მოთხოვნისა და რეგისტრირებული მონაცემების შესწავლა. მომავალი წლიდან დაგეგმილია ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების მასშტაბების ზრდა, რათა მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ავარიულ შენობა-ნაგებობებში. სამწუხაროდ, დედაქალაქში ძალიან ბევრი სხვადასხვა კატეგორიის ავარიული შენობაა და ამ პროექტის განხორციელებით, მუნიციპალიტეტი, დროთა განმავლობაში, შეძლებს ავარიული კორპუსების ჩანაცვლებას, რათა ადამიანებს მიეცეთ ნორმალურ გარემოში და პირობებში ცხოვრების შესაძლებლობა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, ის სამუშაოები, რაც მუნიციპალიტეტმა ამ ერთ წელიწადში განახორციელა, არასაკმარისია, რადგან ქალაქი ყოველწლიურად იზრდება და იმატებს გამოწვევებიც. აღნიშნა, რომ ზოგჯერ, სურვილი აჭარბებს შესაძლებლობებს, ხშირია პრობლემები, რომლის წინაშეც დაუგეგმავად შეიძლება აღმოვჩნდეთ და მიმართა თბილისელებს: „მინდა თბილისელებს სრულიად გულწრფელად ვუთხრა ერთი რამ - ათასჯერ უფრო ბედნიერები ვართ ყველა, როდესაც თქვენი საცხოვრებელი პირობები უმჯობესდება, როდესაც ვახერხებთ ხელი შეგიწყოთ სწავლასა თუ ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში, გადაგიჭრათ წლობით მოუგვარებელი პრობლემები." საუბრის ბოლოს განაცხადა: „ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც იგება ახალი გზები, ქალაქს ემატება ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რეაბილიტირდება შენობები, ლამაზდება ქალაქი და არავის ისე არ ახარებს ეს სიახლეები, როგორც ჩვენ. ამ ყველაფრის უკან დგას თბილისის

მუნიციპალიტეტის დიდი გუნდის ყოველდღიური, 24 საათიანი, შრომა და მუშაობა. მინდა თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის. ის, რაც ჩვენ შევძელით და გავაკეთეთ ბოლო წლების განმავლობაში, არის იმ 30000-მდე თანამშრომლის დამსახურება, ვინც კეთილსინდისიერად, ღირსეულად, პროფესიონალურად ემსახურება ჩვენს ქალაქს და ამ ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს. მადლობას ვუხდი ჩვენს გუნდს საკრებულოში, უმრავლესობის წარმომადგენლებს, სწორედ თქვენი მხარდაჭერა გვაძლევს საშუალებას ღირსეულად ვემსახუროთ ქალაქს, გავუმკლავდეთ გამოწვევებს და განვახორციელოთ ბევრი სასიკეთო პროექტი. ვფიქრობ, თქვენ, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები საკრებულოში, ასევე იმსახურებთ მადლობას, რადგან, მართლია უმეტესად უსაფუძვლო სპეკულაციებით და ცილისწამებით გაჯერებული განცხადებები გვესმის თქვენგან, მაგრამ, ამით, სწორედ თქვენ ეხმარებით მოსახლეობას სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებების თუ დასკვნის გამოტანაში და არჩევნებზეც შედეგი სახეზეა... დიდი მადლობა ჩვენს თბილისელებს, რომელთა მუდმივი მხარდაჭერა, თანადგომა გვაძლევს სტიმულს და გარანტიას, რომ მომავალი 2024 წელი იყოს ბევრად მეტი სასიკეთო ცვლილებების მომტანი დედაქალაქისთვის. და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, დღესასწაული არის იქ, სადაც ერთობაა, სადაც შესაძლებელია ერთმანეთს გავუზიაროთ კეთილი სურვილები... გელოდებით ყველას უკლებლივ, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ. ძალიან ლამაზი იქნება ჩვენი დედაქალაქი, ნამვის ხის ანთების ღონისძიებასთან ერთად, მთლიანად ჩაირთვება და განათდება საახალწლო ილუმინაციები, ხოლო 16 დეკემბერს გაიხსნება საახალწლო სოფელი. ასე რომ, როგორც დღეს, ასევე, ხვალ, გელოდებით ყველას. მადლობა და წარმატებებს გისურვებთ ყველას."

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ 2023 წელი იყო განსაკუთრებული და წარმატებული და აღნიშნა, რომ მერის ანგარიშში ვრცლად იყო საუბარი ყველა იმ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც იქნა განხორციელებული და, რა თქმა უნდა, ამისთვის მადლობას იმსახურებს თითოეული ის ადამიანი, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ პროცესში. გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის და სიტყვა გადასცა თბილისის მერის პირველ მოადგილეს ირაკლი ხმალაძეს.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ თბილისის 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1763000000 ლარს, რომელიც არის 131000000 ლარით მეტი, ვიდრე გასულ წელს დამტკიცებული ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს 1254000000 ლარს, ხოლო დანარჩენი 500000000 ლარი არის სპეციალური ტრანსფერი, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ცენტრალური ხელისუფლებისგან. აღნიშნა, რომ მომავალ წელს დაგეგმილი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო თანხა უფრო მეტია, ვიდრე 1763000000 ლარი, ვინაიდან ამ პროექტებში გათვალისწინებულია გარდამავალი თავისუფალი ნაშთი, რომელიც, წინასწარი პროგნოზით, იქნება დაახლოებით 60000000 ლარი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხა მეტი იქნება, ცხადია, მუნიციპალიტეტი შეძლებს უფრო მეტი პროექტის განხორციელებას და გარდა ამისა, 2024 წელს, მუნიციპალიტეტს აქვს დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განსახორციელებელი 63000000 ლარის პროექტები. ისაუბრა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და აღნიშნა, რომ გადასახადები შეადგენს 918000000 ლარს, მათ შორის, ქონების გადასახადი - 275000000 ლარი, სადაც: საწარმოთა ქონების გადასახადზე გათვალისწინებული და დაგეგმილია 225000000 ლარი, ფიზიკური პირის ქონების გადასახადზე - 30000000 ლარი და მიწაზე ქონების გადასახადზე - 20000000 ლარი; დამატებითი ღირებულების გადასახადი დაგეგმილია 643000000 ლარის ოდენობით და გრანტები 500000000 ლარის ოდენობით; სხვა შემოსავლებში მუნიციპალიტეტს დაგეგმილი აქვს 280000000 ლარის შემოსავალი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან - 9000000 ლარი, პროცენტები - 3000000 ლარი, რენტა - 6000000 ლარი, საქონლის და მომსახურების რეალიზაცია - 165000000 ლარი, ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები - 18000000 ლარი, სათამაშო

ბიზნესის მოსაკრებელი - 70000000 ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი - 75000000 ლარი, პრივატიზაცია - 55000000 ლარი. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული მიმართულებით გასაწევი ხარჯების ოდენობა შეადგენს - 547000000 ლარს, რაც გასულ წელთან შედარებით 31000000 ლარით მეტია, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილია 507000000 ლარის პროექტების და პროგრამების განხორციელება. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა გარდამავალ და ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც განხორციელდება მომდევნო წელს და თითოეული პროექტისთვის გამოყოფილ დაფინანსებაზე: წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის დასრულება - 8000000 ლარამდე; რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, რომელიც ითვალისწინებს შენობების რეაბილიტაციის დაწყებას - 15000000 ლარი; სამგორში განხორციელდება ბურჯანაძის ქუჩის მოწესრიგების სამუშაოები, რისთვისაც განსაზღვრულია 3000000 ლარი; რა თქმა უნდა, გაგრძელდება 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენის პროექტი და ამ მიმართულებით ხარჯი გათვალისწინებულია 113000000 ლარის ოდენობით. სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტი ახორციელებს ახალი ავტობაზის მშენებლობას, რომლის ძირითადი სამუშაოები უნდა განხორციელდეს 2024 წელს და ამისთვის გამოყოფილია 24000000 ლარი; დასრულდება ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაცია - 2800000 ლარი და ავლაბრის მეტროს რეაბილიტაცია, რომლისთვისაც გათვალისწინებულია დაახლოებით 2700000 ლარი, ხოლო ვაგონების მოდერნიზაციისთვის - 10000000 ლარი; დასრულდება მთაწმინდის საბაგიროს მშენებლობა, სადაც დარჩენილია მცირე სამუშაოების განხორციელება და გამოყოფილია 3000000 ლარი; ნაგავსაყრელის მეოთხე უჯრედის მშენებლობა - 15000000 ლარი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მშენებლობის მესამე ნაწილისთვის გათვალისწინებულია 11000000 ლარზე მეტი; დაგეგმილია ვერის ბაღის რეაბილიტაციის დაწყება, რისთვისაც გამოყოფილია 10000000 ლარი და ასევე, 10000000 ლარია განსაზღვრული ვაკის პარკის დასრულების სამუშაოებისთვის; გლდანის ტბის მოწესრიგება - 5000000 ლარი; სამგორში, სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა ერთ-ერთი გარდამავალი პროექტია, რომლისთვისაც საჭიროა 26000000 ლარი, თუმცა, 2024 წელს, მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით განახორციელებს 6000000 ლარის სამუშაოებს; დიდ დიღომში II და IV მიკრორაიონების ბულვარის მშენებლობა - 3500000 ლარი; კრწანისში, გორგასლის გამზირზე, 300 არაგველის სკვერის მოწყობა - 2000000 ლარი; სოფელ დიღომსა და სვანეთის უბანში წყალარინების ქსელის მოწყობის პროექტებისთვის გათვალისწინებულია 2-2 მილიონი ლარი; ლეღვთახევში ქვათაცვენასთან დაკავშირებით შესასრულებელია საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 5000000 ლარს; დიღმის მასივში, III კვარტალში მრავალფუნქციური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები - 5000000 ლარი; სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამუშაოები - 2300000 ლარი; სკეიტ პარკების მშენებლობა - 1000000 ლარი. ირაკლი ხმალაძემ ასევე, ისაუბრა ბაგა-ბაღების მიმართულებით განსახორციელებელ პროექტებზე და ამ მიმართულებით გასაწევ ხარჯებზე: N28 საბავშვო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი ბაღის მშენებლობა - 4000000 ლარი; N71 ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია - 2300000 ლარი; N43 საბავშვო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი ბაღის მშენებლობა - 2000000 ლარი; N196 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია - 2000000 ლარი; N37 ბაგა-ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია - 2000000 ლარი; N50 საბავშვო ბაგა-ბაღის ადგილას ახალი შენობის მშენებლობა - 2000000 ლარი; N211 საბავშვო ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია - 700000 ლარი. აქვე აღნიშნა, რომ 2024 წელს გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორებიცაა: ავარიული სახლების ჩანაცვლება, უსახლკარო მოქალაქეებისთვის ბინების შეძენა და 500 ლარიანი მედიკამენტების ვაუჩერის პროგრამა. საუბრის ბოლოს, ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობს ახალი ვაგონების შესყიდვასთან დაკავშირებით და მომდევნო წლის ბიუჯეტში ამისთვის შესაბამისი ხარჯები მხოლოდ იმიტომ არ არის გათვალისწინებული, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ვაგონების შემოსვლის და თანხების გადახდის გრაფიკი არ ითვალისწინებს 2024 წელს ხარჯების გაღებას. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტს გამოცხადებული აქვს ბაზრის კვლევა, რომლის დასრულების შემდეგ, თუ საჭირო იქნება, გამოცხადდება ახალი კვლევა და გამოვლინდება, თუ რა იქნება ოპტიმალური სცენარი,

რადგან მუნიციპალიტეტის მიზანია, რომ მომდევნო 10-დან 15 წლამდე პერიოდში მუნიციპალიტეტმა მოახერხოს 211 ახალი მეტროს ვაგონის შეძენა და მოხდეს ძველი, საბჭოთა დროინდელი ვაგონების ჩანაცვლება, რომლებსაც ეტაპობრივად გასდის ექსპლოატაციის ვადა.

საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს თბილისის მერს.

ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერის ინიციატივით, თბილისში დაიწყო მიწების სისტემური რეგისტრაცია და დაინტერესდა, როდის განხორციელდება პროექტის მომდევნო ეტაპები.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ მეტროს მოძრავი შემადგენლობის განახლების პროგრამისთვის მუნიციპალიტეტი ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღებს 475000000 ლარს და დაინტერესდა, როგორი გრაფიკით მოხდება ვაგონების განახლება - ტენდერით დამზადდება გარკვეული რაოდენობა თუ აღნიშნული განხორციელდება ეტაპობრივად. აქვე აღნიშნა, რომ ევროპული გამოცდილებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს, თუ, რა თქმა უნდა, არ არის გარდაცვალების ფაქტი, ავტოსაგზაო შემთხვევის პირველად ფიქსაციას ახდენენ თავად მძღოლები, რათა არ შეაფერხონ მოძრაობა, ხოლო თბილისში, სადაზღვევო კომპანიების მოთხოვნის თანახმად, სანამ შემთხვევის ადგილას არ მივა საპატრულო პოლიცია, დაუშვებელია ავტომობილის გადაადგილება და შესაბამისად, ერთმა, თუნდაც უმნიშვნელო, ავტოსაგზაო შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს ქალაქის დიდი ნაწილის პარალიზება და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, აპირებს თუ არა მუნიციპალიტეტი, რომ სადაზღვევო კომპანიებთან შეთანხმებით, ამ მიმართულებით შეიმუშაოს საკანონმდებლო ინიციატივა, რათა აღმოიფხვრას ზემოთ ხსენებული პრობლემა.

გიორგი შარაშიძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და აღნიშნა, რომ ეს ისტორიული დღე, პირველ რიგში, ქართველი ხალხის, ჩვენი ახალგაზრდების და წინაპრების დამსახურებაა. განაცხადა, რომ დღევანდელი დღე არის საზეიმო და გამართლებული არ არის, რომ ეს დღე დაემთხვა თბილისის მერის ანგარიშის მოსმენას და მიმართა კახა კალაძეს: „შეგეძლოთ სხვა დრო შეგერჩიათ თქვენი ანგარიშისთვის, იმიტომ, რომ დღეს არის ნამდვილად ზეიმის დღე“.

გიორგი ტყემალაძემ გიორგი შარაშიძის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისის მერის ანგარიშის მოსმენის თარიღი შეთავაზებულია საკრებულოს მხრიდან და ამასთანავე, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ბევრად ადრე იქნა მიღებული, ვიდრე გამოცხადდებოდა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭება.

გიორგი შარაშიძემ განაგრძო გამოსვლა და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, მისთვის ჩანს, რომ ეს ისტორიული დღე გამოყენებულია პიარტექნოლოგიური მიზნებისთვის და მათ გუნდს არ აქვს სურვილი იყოს ამ პროცესის მონაწილე, რადგან დღეს არის საზეიმო დღე და ამიტომ, მათი ფრაქცია, პროტესტის ნიშნად, დატოვებს დღევანდელ საკრებულოს სხდომას. აქვე, მოუწოდა თბილისის მერს, რომ თუ მას აქვს სურვილი, მოისმინოს კრიტიკული კითხვები და მისი მერობის შეფასებები, სხვა დროს მობრძანდეს საკრებულოში. გიორგი შარაშიძემ დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ მიულოცა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დღის დადგომაში წვლილი შეიტანა და მან და სალომე კობალაძემ დატოვეს საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

ლევან აბაშიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის, საქართველოს მოსახლეობას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება, მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ საქმეში რაიმე წვლილი შეიტანა, განაცხადა, რომ მისთვის ევროპა ასოცირდება სოლიდარობასთან და იმედი გამოთქვა, რომ ქართული საზოგადოება ამ კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს. ლევან აბაშიძემ აღნიშნა, რომ ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პრობლემა არის მიუსაფარი ცხოველების პრობლემა და ამ მიმართულებით საკანონმდებლო რეგულაციებზე მუშაობს საქართველოს პარლამენტი, თუმცა, კანონის აღსრულება იმ რესურსით, რომელიც დღეს აქვს ცხოველთა მონიტორინგის

სააგენტოს, შეუძლებელი იქნება და დაინტერესდა, რა ნაბიჯები იგეგმება მომავალში იმისთვის, რომ გაძლიერდეს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მუშაობა და კანონის აღსრულებას არ შეექმნას პრობლემები.

ირაკლი ნადირაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, ყველას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და მადლობა გადაუხადა, პირველ რიგში, ჩვენს მოქალაქეებს, რომლებიც ბოლომდე იცავდნენ საქართველოს ევროპულ მომავალს. ასევე, მადლობა გადაუხადა ევროპელ პარტნიორებს იმისათვის, რომ „კანდიდატის სტატუსი თავისთვის არ დაიტოვეს და მოგვცეს ჩვენ, მოქალაქეებს". ირაკლი ნადირაძემ მიმართა თბილისის მერს: „ბატონო კახი, კანდიდატის სტატუსი მივიღეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია და წინ კიდევ უფრო სწრაფად უნდა წავიდეთ დასავლეთისკენ, კიდევ უფრო სწრაფად უნდა წავიდეთ ევროპისკენ, მოქალაქეებს უნდათ რომ სწრაფად წავიდნენ, მაგრამ ქალაქის გასასვლელში საცობებში იჭედებიან - ეს ნახევრად, ხუმრობით, მაგრამ ჩვენს მოქალაქეებს არ ეცინებათ, როდესაც საათობით დგანან „კახი კალაძის საცობებში". მე მაინტერესებს და კითხვა მაქვს - როგორ მოახერხეთ, უკვე მეორე ვადით ხართ თბილისის მერი, ორი მილიარდია დაახლოებით დახარჯული საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის და მდგომარეობა, წლიდან წლამდე, გაუმჯობესების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტად მძიმდება?" ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ მოვისმინეთ მერის ანგარიში და ასევე, თუ რა იგეგმება მომავალი წლის ბიუჯეტით, მაგრამ საცობების პრობლემიდან გამოსავალი ვერ დავინახეთ და დაინტერესდა, რა გამოდის? რომ ამ პრობლემას ვერ ვუმკლავდებით და დავანებეთ თავი? აქვე განაცხადა, რომ არის შეთავაზება, გადავიდეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე, თუმცა, დღეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, როგორც ავტობუსით, ასევე, მეტროთი და მიკროავტობუსით მგზავრობა და დაინტერესდა რა იგეგმება და რა ეშველება საზოგადოებრივ ტრანსპორტს? ირაკლი ნადირაძემ ასევე, აღნიშნა, რომ ქალაქში მიმდინარეობს არაერთი ინფრასტრუქტრული პროექტი, მათ შორის, წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, რომელთა განხორციელება, მისი თქმით, „უსაშველოდ იწელება" და დაინტერესდა, რატომ არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, მათ შორის, არაერთი ისეთი ფაქტი ვნახეთ, როდესაც მანქანები გადავარდნენ თხრილებში.

ზვიად კუპრავამ მიმართა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას: „მე მინდა, ამაღლებული განწყობით, ევროპის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მივულოცო სრულიად საქართველოს, მე მინდა კანდიდატის სტატუსი მოგილოცოთ დარბაზში მყოფ ყველა ადამიანს და განსაკუთრებით მივულოცო მედიას, რამეთუ მათი ღვაწლი და წვლილი არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე მინდა კანდიდატის სტატუსი მივულოცო ჩვენს წინაპრებს წარსულში, მე მინდა კანდიდატის სტატუსი მივულოცო ჩვენს ხალხს აწმყოში და ჩვენს შვილებს მომავალში - ამ სამ ეპოქას ვაერთიანებ და ერთი საერთო მიზანი არის ბედნიერი და ევროპული საქართველო. მადლობა და წინ, ევროპისკენ".

მამუკა გუგეშაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და ყველას მიულოცა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. მან რამდენიმე კითხვით მიმართა თბილისის მერს: რა იგეგმება მომავალში ქალაქში არსებული საცობების მოგვარების კუთხით, მართალია ამ მიმართულებით ბევრი რამ კეთდება, მაგრამ ძალიან ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი, რადგან ისეთ ადგილებშიც კი, სადაც აქამდე არ იყო საცობები, მაგალითად ქავთარაძის ქუჩაზე, ახლა უკვე იქაც შეუძლებელია ტრანსპორტით ნორმალურად გადაადგილება; იმ დროს, როდესაც ქალაქში პარკირების საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია, „სასწაულ ჯარიმებს" უწერენ იმ ადამიანებს, რომლებიც გასაჩერებელი ადგილების არარსებობის გამო, იძულებულები არიან სადმე გააჩერონ მანქანა. ამის გამო, ადამიანებს, რომლებსაც კომპანია „city park" ეზიზღებოდათ, დღეს ის ენატრებათ და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ჯარიმების შემცირება ან პარკინგების გაკეთება; განაცხადა, რომ 2024 წელი არის საარჩევნო წელი, ყველა ვადევნებთ თვალს კვლევებს და იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობას უნდა ახალი, მომავლის პარტიები, 70% უარს ეუბნება,

როგორც დღევანდელ, ასევე, წინა ხელისუფლებას და საინტერესოა, ვაპირებთ თუ არა ამ არჩევნების ევროპულ სტილში ჩატარებას.

გურამ ოქროპირიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის და დაინტერესდა, როდის დაიწყება და დასრულდება დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა. აქვე, აღნიშნა, რომ მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართულია 350-მდე მწვრთნელი და იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროგრამაზე მოთხოვნა არის მზარდი, დაინტერესდა, მოხერხდება თუ არა მომდევნო წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული მწვრთნელების რაოდენობის ზრდა.

ნინო წულაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, მათ შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და თბილისის რაიონების გამგებლებს მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისთვის. ქართველ ხალხს მიულოცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება და რამდენიმე კითხვით მიმართა თბილისის მერს: აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ, 2022 წლის 22 დეკემბერს, პარტიამ „ხალხისთვის“ დაარეგისტრირა საკანონმდებლო ინიციატივა პიროტექნიკურ ნაკეთობებთან დაკავშირებით, მათ შორის, თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალური ინსპექციისთვის უფლებამოსილების მინიჭებაზე, რომ უფრო გაძკაცრდეს პიროტექნიკური ნაწარმის გამოყენების კონტროლი და ასევე, აკუსტიკური ხმაურის კონტროლი, რადგან არა მხოლოდ მოქალაქეებისთვის, არამედ, ცხოველებისთვისაც არ არის უსაფრთხო ზემოთ ხსენებული ნაწარმოს გამოყენება. იქიდან გამომდინარე, რომ ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტში წესრიგდებოდა კანონი, ითხოვეს, ცოტა ხნით შეჩერებულიყო ამ საკითხზე მუშაობა და დაინტერესდა, აქვს თუ არა თბილისის მერს აღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტთან კომუნიკაცია და იგეგმება თუ არა პიროტექნიკური ნაკეთობების გამოყენება და რეგულირება ახალ წლამდე. აღნიშნა, რომ საცობების მიმართულებით არსებული კითხვები ალბათ გასაკვირი არ არის იქიდან გამომდინარე, რომ, განსაკუთრებით ბოლო თვეების განმავლობაში, ადამიანები ფაქტობრივად ვერ გადაადგილდებიან და დაინტერესდა, რა იგეგმება ამ მიმართულებით, რადგან სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პრიორიტეტი არის არა საცობების კუთხით არსებული პრობლემის მოგვარება, არამედ მუნიციპალური ტრანსპორტის გააქტიურება. ასევე, საინტერესოა, რატომ შემოდის 200-ის ნაცვლად 160 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი და პირველ ეტაპზე რატომ შემოდის მხოლოდ და მხოლოდ 45 ერთეული, როდესაც რამდენიმე წლის განმავლობაში ველოდით ამ ავტობუსებს. ამასთან დაკავშირებით, საწყის ეტაპზე არგუმენტი იყო ის, რომ არ იყო ავტობუსების გასაჩერებელი დეპო და საინტერესოა, ახლა რა ეტაპზეა მისი მშენებლობა და თუ ავტობუსების გასაჩერებელი ადგილი არ არის, როგორ შემოდის თუნდაც ის 45 ერთეული? ნინო წულაძის თქმით, სკოლებში ბავშვთა უფასო კვებასთან დაკავშირებით გასაგებია, რომ მისი რეკომენდაციები თბილისის მერიას არ განუხილავს, თუმცა, საინტერესოა იგეგმება თუ არა განათლების სამინისტროსთან კოორდინირებული მუშაობა, რათა, სატესტო რეჟიმში, როგორც ცენტრალურმა თვითმმართველმა ქალაქმა, დანერგოს უფასო კვების სასკოლო პროგრამა და ამ ნაწილში მუნიციპალიტეტი, ისევე, როგორც ეს ბევრ ევროპულ ქვეყანაშია, თავისი კონტრიბუციით შევიდეს. ნინო წულაძემ ასევე, აღნიშნა, რომ პარტიას „ხალხისთვის“, ვაკის პარკში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივა რეკრეაციული სივრცეების უსაფრთხოების აუდიტის ხუთ წელიწადში ერთხელ ჩატარებასთან დაკავშირებით, რომელიც გაგზავნილი იქნა თბილისის მერიაში და დაინტერესდა, თბილისის მერიამ განიხილა თუ არა აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ მიმართა კახა კალაძეს: „ევროპულ ოჯახში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, ისევ ფიქრობთ თუ არა, დღეის მონაცემებით, რომ არაფრისმომცემი იყო გუშინდელი და დღევანდელი სტატუსი და უბრალოდ, რიტორიკულად - დღეს რამდენ ფეხზე დგახართ, ისევ ცალ ფეხზე თუ ორივე ფეხზე ინარჩუნებთ დგომას, უკვე ახალი კანდიდატის სტატუსით?“

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ გასულ წლებში დაანონსებული იყო ძველი საბაგირო გზის აღდგენა მეტრო სამგორის ზედა ამოსასვლელსა და ვაზისუბნის დასახლებას შორის და იქიდან

გამომდინარე, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით არც 2024 წლის ბიუჯეტშია დაფინანსება ასახული და არც მერის ანგარიშში თქმულა რაიმე, დაინტერესდა, რა ეტაპზეა ეს საკითხი. ასევე, აღნიშნა, რომ რამდენჯერმე შეიცვალა მეტრო ავლაბრის ზედა ვესტიბიულის მოწყობის პროექტი და იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი ადამიანი სარგებლობს ყოველდღიურად ხსენებული მეტროსადგურით, დაინტერესდა, როდის დასრულდება სამუშაოები.

ცოტნე კობერიძემ 7, 8 და 9 მარტის აქციებში მონაწილე ყველა ადამიანს მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და მიმართა თბილისის მერს: „ბატონო კახა, თუ გულწრფელად გვილოცავთ კანდიდატის სტატუსს, ფურცლიდან წაკითხვა რატომ დაგჭირდათ, რად უნდა ფურცლიდან წაკითხვა და „სფიჩვრაითერის“ დაწერილი ტექსტი იმას, რომ უბრალოდ გულით და სულით მოგვილოცოთ? ბატონო კახა, დღეს ზეიმში თუ გულწრფელი იქნებით, იცით რა მაინტერესებს, მეორე ფრონტის გახსნას აპირებთ თუ მაშინ გვატყუებდით, რომ მეორე ფრონტის გახსნაა საჭირო ევროპასთან დაახლოებისთვის? დღეს რომ მოგვილოცავთ ამ ნაწილში, ძაან საინტერესოა, ისევ ჩალის ფასად თვლით თუ არა კანდიდატის სტატუსს თუ არ არის ჩალის ფასი?... წინა წელს დავსვი კითხვა მეტროსთან დაკავშირებით, სარგებლობდით თუ არა და ნახეთ თუ არა იქ „ნაკადების მარეგულირებელს“ რომ ვეძახით და იქ რომ „ფრირაიდერობაზე“ გამოწმებდნენ, როგორია? და მითხარით, რომ მეტროთი არ მგზავრობთ ზოგადად და ტრანსპორტის სხვა საშუალება გიყვართ. წელს რამე შეიცვლება? წელს ჩახვალთ მეტროში? და რომ ეპატიჟებით ხალხს მეტროში, ნახავთ იქ რა მდგომარეობაა?... მარიტას ტრაგედიასთან მიმართბაში თუ გამოავლინეთ რაიმე ტიპის პასუხისმგებლობები, რაც სხვანაირად თუ დალაგდება ამ წელს, ასეთი ტიპის ტრაგედიები აღარ გვექნება? რა შეცვალა მერიამ ისეთი, რის გამოც აღარ გვექნება პარკი, სადაც ესეთი ტრაგედია იქნება? ამ ერთი წლის განმავლობაში ამაზე რაიმე თუ მოიფიქრეთ?“

ავთანდილ ცინცაძემ ყველას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება, რასაც „უმნიშვნელოვანესი წარმატება“ უწოდა და მოსახლეობისთვის საინტერესო კითხვებით მიმართა თბილისის მერს: არის თუ არა განსაზღვრული თარიღი, როდის დასრულდება დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა; არის თუ არა გათვალისწინებული სამომავლო გეგმებში ვეფხვი და მოყმის პროექტი, რომელიც არ ეხება მხოლოდ საბურთალოს რაიონს და იქნება საქალაქო მნიშვნელობის პროექტი; იქიდან გამომდინარე, რომ საბურთალოზე არის ცენტრალური გამზირები, ხომ არ არის შესაძლებელი მომავალში დაიგეგმოს რომელიმე მათგანის რეაბილიტაცია.

ლილე ლიპარტელიანმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და ქართველ ხალხს მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება, რასაც „ისტორიული გამარჯვება“ უწოდა. ასევე, მიულოცა ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის „მესაძირკველეებს“ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას, ყველას, ვინც თავი გაწირა და ყველაზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი - სიცოცხლე დადო თავისუფლებისთვის და ჩვენი ევროპული მომავლისთვის. განსაკუთრებით მიულოცა მიხეილ სააკაშვილს და ლაზარე გრიგორიადისს, რომლებსაც „პოლიტიკური პატიმრები“ უწოდა. ლილე ლიპარტელიანმა ასევე, მიულოცა თბილისის მერს და მიმართა მას: „ბატონო კახი, თქვენც გილოცავთ, თქვენთვის არაფრისმომცემ, თუმცა, ჩვენთვის თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობის, უსაფრთხოების, უზრუნველი სიბერის და კორუფციისგან თავისუფალი გარემოს გარანტიის მიღებას, იმ კორუფციისგან თავისუფალი, რომელშიც ჩაფლულია სრულიად მერია. რომ არა კორუფცია, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიცაა წილოსანი-რუხაძის მშენებლობა?“

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ, პირველ რიგში, სურს მიულოცოს დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება ყველას, ვისაც სჯეროდა, უნდოდა, იბრძოდა და შრომობდა ამ გამარჯვებისთვის და ვისთვისაც ეს სტატუსი „არაფრისმომცემი“ კი არ იყო, უკეთესი ხვალინდელი დღის გარანტია იყო. აღნიშნა, რომ საცობებთან დაკავშირებით დაისვა ბევრი კითხვა, რადგან ის რაც დღეს ქალაქში ხდება აღარ არის სატრანსპორტო კოლაფსი, ეს არის „სატრანსპორტო

ჯოჯოხეთი“, რომელსაც დარწმუნებულია ქალაქის მერი თავად გრძნობს იმ შემთხვევაში, თუ სხვა მაღალჩინოსნებივით „ბასლაინებში“ არ გადაადგილდება და განსაკუთრებით მაშინ უნდა გრძნობდეს, თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიას ძალიან ბევრი კვლევა აქვს ჩატარებული და ათიათასობით ლარი აქვს დახარჯული იმისათვის, რომ დაეგეგმა სატრანსპორტო პოლიტიკა, ამ პოლიტიკის განხორციელებაში არის სერიოზული გამოწვევები და ჩავარდნები. ამიტომ, საინტერესოა, მერიის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, შესაძლებელია თუ არა, მოსახლეობას უთხრათ, როდის დადგება ის წელი და თარიღი, როდესაც მოქალაქეებს, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეებს, ქვეითად მოსიარულეებს და ა.შ. აღარ მოუწევთ, ხშირ შემთხვევაში, ღირსების შელახვის ხარჯზე მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა, გადავსებული ავტობუსების და მეტროს ვაგონების გაშვება, საათობით საცობში დგომა და ა.შ. და როდის იქნება ხელმისაწვდომი და კომფორტული მუნიციპალური ტრანსპორტი. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძის პირველი ვადით მერად არჩევის დროს, წინასაარჩევნო დაპირება იყო ამ ქალაქში ურბანული გენოციდის დასრულება, თუმცა, მოსახლეობას კარგად ახსოვს გეოლოგიური თვალსაზრისით „მავნებლური“ ურბანული და სატრანსპორტო პროექტები, რომლებიც განსაკუთრებით აგვისტოს თვეში მიიღო და დაამტკიცა საკრებულომ. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თბილისის მერმა, როგორც ამ ქალაქის სწორ განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირმა, რომელიც 2017 წელს და სხვა წლებშიც მოსახლეობას ეკითხებოდა აზრს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, რა ფერის ავტობუსი უნდოდათ: ლურჯი, ყვითელი თუ მწვანე? ვარაზის ხევში ქვაფენილი უნდოდათ თუ ასფალტის საფარი? რატომ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ გაეკეთებინა საჯარო განცხადება ან მას, ან მის მოადგილეებს, ან შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს და დაერწმუნებინა მოქალაქეები, რომ ზემოთ ხსენებული პროექტები არის სარგებლიანი ქალაქისთვის. ასევე, საინტერესოა, იმ ურბანული მემკვიდრეობის ფონზე, რომელსაც უტოვებს დედაქალაქს, აქვს თუ არა კიდევ იმის ამბიცია, რომ ამ ქალაქში დარჩება იმ მერად, რომელმაც დაამთავრა „ურბანული კოშმარი“ დედაქალაქში. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ ყველა იზიარებს იმ პათოსს, რომ თბილისი უნდა გახდეს ევროპული ქალაქი, ასევე, მისასალმებელია ის, რომ გარემო უნდა გახდეს შშმ პირების საჭიროებებზე ადაპტირებული და ამ მიმართულებით ტემპები გასაზრდელია. აქედან გამომდინარე, თბილისის მერს გააცნო თავისი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს შშმ პირებისთვის მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობას, რომელსაც საკრებულო, მისი აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ წინადადება ოპოზიციის დაყენებულია, წელიწადნახევარია არ განიხილავს და დაინტერესდა, იზიარებს თუ არა ქალაქის მერი ხსენებულ ინიციატივას და არის თუ არა მზად, რომ საკრებულომ ეს ინიციატივა დააყენოს დღის წესრიგში და მხარი დავუჭიროთ შშმ პირებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით სარგებლობას.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ არასერიოზულია პოლიტიკური ნიშნით საუბარი ასეთი გადაწყვეტილებების მიღებაზე და იმის თქმა, თითქოს ამ ინიციატივის განხილვა არ ხდება იმიტომ, რომ ის ოპოზიციის წარმომადგენლის დაყენებულია. ამ საკითხზე იყო არაერთი შეხვედრა, მათ შორის, თავად ანა გოგოლაძის და მთავრობის წევრების მონაწილეობით, სადაც საუბარი იყო რაღაც გადაწყვეტილებების მიღებაზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ ფართოა ამ ადამიანების წრე, თუმცა, მათი დიდი ნაწილი ხვდება სხვადასხვა ნომენკლატურებში და სარგებლობს შეღავათებით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არიან მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ბიუჯეტის დათვლა და იქიდან გამომდინარე, რომ ფიქრობს, შესაძლებელი იქნება ამ ადამიანებისთვის გარკვეული შეღავათების დადგენა, მიმართა თბილისის მერს და ვიცე-მერს, რომ მათი ჩართულობით, შესაბამის სამსახურთან ერთად, იმსჯელონ აღნიშნულ საკითხზე, რაზეც მათგან მიიღო დადებითი პასუხი.

კონსტანტინე ზარნაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მომავალში კიდევ უფრო მკვეთრი და მკაფიო ნაბიჯები გადაიდგმება ევროკავშირთან დაახლოების გზაზე. მან მადლობა გადაუხადა თბილისის მერს იმისათვის, რომ 2024 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისიწნებულია საკრებულოს რეკომენდაციები, მათ შორის, ის, რომ გამგეობების ბიუჯეტი გადანაწილებულიყო პროპორციულად და არ დარღვეულიყო სამართლიანობის პრინციპი. კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ გლდანის რაიონში ოთხი ძალიან პრობლემური ქუჩაა, სადაც საჭიროა კომპანია „GWP"-ის ჩართულობა, ესენია ილორის და ზარზმის ქუჩები, სადაც აუცილებელია წყლის მილების გამოცვლა და იმდენად რთულ მდგომარეობაშია ეს ორი ქუჩა, რომ ორმოული შეკეთებითაც ვეღარ შედის გამგეობა. ანალოგიური მდგომარეობაა ტაძრის და მონასტრის ქუჩებზეც და ითხოვა დახმარება, რომ სწრაფად მოხდეს კომპანიასთან კომუნიკაცია აღნიშნულთან დაკავშირებით. საუბრის ბოლოს, დაინტერესდა, არის თუ არა გაკეთებული მონახაზი, რა მიმართულებით დაიხარჯება 60000000 ლარი, რომელიც გარდამავალი ნაშთის სახით დაემატება დედაქალაქის ბიუჯეტს.

საბა ბუაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „მინდა დავიწყო მოლოცვით. ეს არის ისტორიული დღე, ეს არის ის დღე, რომელიც აუცილებლად უნდა დამდგარიყო და მე იმედი მაქვს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ ევროკავშირის სრულფასოვან წევრობას ვიზეიმებთ ყველა ერთად და მადლობა ღმერთს, რომ ევროკავშირმა, მიუხედავად თქვენი მოწოდებისა, კანდიდატის სტატუსი თავისთვის არ შეინახა, ბატონო კახი." საბა ბუაძემ სხდომაზე წარადგინა ტვერელის ეკლესიასთან განხორციელებული მშენებლობის ფოტო და მიმართა თბილისის მერს: „ეს არის, რაც მოხდა ტვერელის ეკლესიასთან, თქვენი დაპირების მიუხედავად, რომ იქ არაფერი ხდებოდა და მცირე მასშტაბის, 2-3 სართულიანი, ტერასული ტიპის მშენებლობა მიმდინარეობდა. ეს მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, ჩვენი ქალაქის ისტორიულ ცენტრში და იცით, რომ ამ კომპანიის აშენებულ კორპუსში თქვენი მოადგილის, ბატონი ბენდელიანის, ოჯახის წევრებს 175 დოლარად აქვთ ნაყიდი ვაკეში უძრავი ქონება? იცით თუ არა, რომ მიხეილ კუჭავას მიერ აშენებულ სხვა კომპანიებში აქვთ მისი ოჯახის წევრებს სასაცილო ფასად, ათჯერ ნაკლებ ფასად, ნაყიდი უძრავი ქონება? თქვენი უმრავლესობის დეპუტატმა, წყნეთში, მუნიციპალურ მიწაზე რომ აიშენა სახლი, იცით ეს? რა თქმა უნდა, იცით. სამი წელია ეს სახლი აქვს და სამი წელია დაჯარიმებულია. რა უდგას წინ, რომ დემონტაჟი გააკეთოთ ისე, როგორც ერთ ღამეში სამგორში გააკეთეთ, აბსოლუტურად სწორად? ყველა უკანონო მშენებლობა უნდა იქნას შეჩერებული და ყველა უკანონო ნაგებობა უნდა იქნას დემონტაჟს დაქვემდებარებული, მაგრამ დაიწყეთ თქვენი უმრავლესობის წევრებით. ასევე, მაინტერესებს, რატომ არ აწერთ ხელს კობა კვეტენაძის და თქვენი ვიცე-მერის, ირაკლი ხმალაძის, მიერ ერთობლივ, აქ შემოტანილ, თვალთმაქცურ გარიგებას? ჩვენ მივმართეთ პროკურატურას და შეჩერებულია და თუ კორუფცია არ იყო მართლა და თუ ყველაფერი წესრიგში იყო, რატომ გააჩერეთ ის ტრანზაქცია და რატომ არ აწერთ ხელს? და ბოლოს, მაინტერესებს, რა პასუხი გაქვთ თბილისელებთან სატრანსპორტო რეფორმის ასეთ მაჩანჩალურ მიმდინარეობაზე? თქვენ იცით, რომ ჩვენ მხარს გიჭერთ ამ სატრანსპორტო რეფორმაში, ეს არის სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ 6 წლის მანძილზე „ბასლაინების" ნახევარი რომ დახაზეთ, ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს".

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ უერთდება მილოცვებს და აღნიშნა, რომ შარშან, როგორც ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, წამოაყენა კომპანია „GWP"-სთან არსებული პრობლემების საკითხი, რის შემდეგაც, ვიცე-მერის ჩართულობით, კომპანიის წარმომადგენლებთან მოეწყო რამდენიმე შეხვედრა, თუმცა, ეს არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ამ მიმართულებით არის რაიმე წინსვლა, რადგან ყველა რაიონში და განსაკუთრებით ნაძალადევში, არის ისეთი ქუჩები, სადაც უკვე კრიტიკულად მძიმე სიტუაციაა და ელემენტარული გადაადგილება უჭირთ ადამიანებს. მისი თქმით, კომპანია „GWP"-სთან ურთიერთობაში გამოიკვეთა ერთი საკითხი - ისინი ამბობენ, რომ არსებული ტარიფით წარმოუგენელია იმ ტემპებთან დაწევა, რომელსაც სთავაზობს თბილისის მერია და

ყველა რაიონის გამგეობა და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, ხომ არ ფიქრობს თბილისის მერია, რომ საჭიროა გავხსნათ მსჯელობა ტარიფის გაზრდაზე, რათა რაც შეიძლება მალე დაიწყოს კომპანიამ სწრაფი ტემპებით მიწისქვეშა კომუნიკაციების გამოცვლა და შევძლოთ მივყვეთ გზების მოწესრიგების სამუშაოებს.

მიხეილ კაკაურიძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება, განაცხადა, რომ ეს თითოეულ ჩვენგანზე დიდი სიკეთეებით აისახება უახლოეს მომავალში, თუ შევძლებთ, რომ რეალურად შევქმნათ ევროპული სახელმწიფო იმ ღირებულებებით, რომლებსაც დღეს წარმოადგენს ევროკავშირი და მიმართა კახა კალაძეს: „ხართ თუ არა მზად ქვეყნის ევროპული მომავლის უზრუველსაყოფად ითანამშრომლოთ ოპოზიციასთან და მოხერხდეს იმ პოლარიზაციის დასრულება, რომლის გარეშეც უბრალოდ შეუძლებელი იქნება ევროკავშირის წევრობა. იცით რომ კანდიდატის სტატუსი არ არის გარანტია, რომ ევროკავშირის წევრობას ჩვეულებრივად მივიღებთ და ამისათვის პირველი და უმთავრესი პირობა არის ამ ქვეყანაში დასრულდეს პოლარიზაცია და ჩვენი ურთიერთობები გადავიდეს თანამშრომლობის რეჟიმში. მე, მაინც მზად ვარ და მომხრე ვარ იმისა, რომ ერთმანეთთან ვიყოთ თემატური ოპონირების რეჟიმში, მიუხედავად იმისა, ჩემთვის რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს ოპონენტი და კონკრეტულ საკითხებში გამოვნახოთ საერთო ენა და შეხების წერტილები, რომლებიც ამ ქვეყანას წინ წაიყვანს და ამისათვის კონკრეტული გარემოებები არის ზუსტად ის, რომ ვითანამშრომლოთ“. მიხეილ კაკაურიძემ გაიხსენა თბილისის მერის მიერ, გასული წლის ანგარიშის წარდგენისას, გამოთქმული მზადყოფნა მის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, საუბარი იყო გლდანში, ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობაზე, თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არცერთი მოსაცდელი არ მოწყობილა იმ ტერიტორიაზე, სადაც 20-მდე სამარშრუტო ხაზი იყრის თავს და რომლითაც ყოველდღიურად ათიათასობით ადამიანი სარგებლობს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ ვერ მოხერხდა აღნიშნულის განხორციელება და ასევე, შარშანდელი დაპირების მიუხედავად, რომ თბილისი მთლიანად იქნებოდა უზრუნველყოფილი „ბასლაინებით“, რატომ ვერ დასრულდა ეს პროექტი, რის გამოც აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, რომ დღეს, როდესაც საუბარია 18 მეტრიანი ავტობუსების შემოყვანაზე, რეალურად არც „ბასლაინები“ გვაქვს და არც საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს. მიხეილ კაკაურიძე ასევე, დაინტერესდა, რატომ არ ხდება თბილისის მთავრობის წევრების მხრიდან ოპოზიციასთან თუნდაც მარტივი კომუნიკაცია მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და რატომ ვერ იღებს ოპოზიცია მათგან პასუხებს ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა, მაგალითად, 100 მეტრზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობა, რომლითაც ათასობით ადამიანი სარგებლობს და საფეხბურთო მატჩის შემდგომ სტადიონზე მისული ათიათასობით გულშემატკივრის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გაყვანის უზრუნველყოფა იმ სივრციდან, რაზეც პირადად მას, შესაბამის სამსახურში გაგზავნილი ჰქონდა წერილობითი თხოვნა, თუმცა, პასუხიც კი არ მიუღია.

ლევან ჟორჟოლიანი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, შეუერთდა მილოცვებს, აღნიშნა, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი დღეა და განაცხადა, რომ ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა იმისთვის, რომ უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული ევროკავშირში და საბოლოოდ მივიდეთ ევროკავშირის წევრობამდე. აქვე განაცხადა, რომ „ნამდვილად ყველას გვახსოვს, ვის გვჯეროდა, ვინ ვმუშაობდით ამ ყველაფრისთვის, ვინ ნამდვილად ამისთვის იღწვოდა და ვინ დადიოდა ჩუმ-ჩუმად და ამის საწინააღმდეგოდ მუშაობდა“. ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტს, რომელიც გულისხმობს უსახლკარო პირების საცხოვრისით უზრუნველყოფას, რა მიმართულებითაც ბიუჯეტში გამოყოფილია 5000000 ლარი და ასევე, განსაზღვრულია ის მაქსიმალური თანხა - 1 კვ.მ.-ზე 900 დოლარი, რომელზე მეტსაც მუნიციპალიტეტი ვერ გადაიხდის ბინების შესაძენად და იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქში უძრავ ქონებაზე ფასები საკმაოდ გაზრდილია, დაინტერესდა, თბილისის მერია ხომ არ

განიხილავს ამ თანხის ზრდას, რათა პრობლემა არ შეიქმნას ბიუჯეტით გამოყოფილი დაფინანსების ათვისებაში და ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამის დაინიცირების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ სტატუსთან დაკავშირებული განცხადებების რაოდენობა გაათმაგდა.

რევაზ სოხაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება. აღნიშნა, რომ თბილისის მერის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც გულისხმობს, მათ შორის, ისტორიულ უბნებში მშენებლობის ნებართვის თუ სხვადასხვა სახის დარღვევაზე ჯარიმების გახუთმაგებას და გაათმაგებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ფიქრობს, რომ ერთი მხრივ, ეს სანქციები იქნება იმის პრევენცია, რომ აღარ განხორციელდეს უკანონო მშენებლობები, თუმცა, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის როლის გაზრდა და აქედან გამომდინარე დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ მუნიციპალიტეტი გამოვიდეს მუნიციპალური ინსპექციისთვის ფუნქციების გაზრდის ინიციატივით, რადგან ყველამ ვიცით, თუ რა რეჟიმში მუშაობენ ყოველდღიურად ამ სამსახურში დასაქმებული ადამიანები და მნიშვნელოვანი იქნება როგორც მათი უფლებების გაზრდა, ასევე ისიც, რომ მათი ანაზღაურება იყოს შესაბამისი. რევაზ სოხაძე ასევე, გამოეხმაურა თბილისის მერის სიტყვებს, რომ ქალაქი იზრდება და დაინტერესდა, აქედან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობს რომ მნიშვნელოვანია თბილისის აგლომერაციის ფარგლებში, თბილისი, მცხეთა, რუსთავი, შეიქმნას გარკვეული ფორმატი, სადაც მოხდება, მათ შორის, ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკის სინქრონიზაცია, რადგან ქალაქის საზღვრებთან ურბანული განვითარება, რა თქმა უნდა, დიდწილად გავლენას მოახდენს თბილისზეც.

ნათია მოდებაძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, „ქართული ოცნების“ გუნდს, საქართველოს მთავრობას და მოსახლეობას მიულოცა ევროკავშირის ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება, რომელსაც „უმნიშვნელოვანესი ისტორიული გადაწყვეტილება“ უწოდა. აღნიშნა, რომ თბილისის მოსახლეობისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია ლიფტების პრობლემა და დაინტერესდა, 2023 წლის მდგომარეობით, რა მონაცემები გვაქვს ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოების კუთხით და აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით რა სამუშაოების შესრულებას აპირებს თბილისის მერია 2024 წელს.

ვახტანგ სურგულაძემ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, მათ შორის, მათ, ვინც სხვადასხვა მიზეზით გასულია ქვეყნიდან, მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება და განაცხადა, რომ წინ კიდევ უფრო დიდი გამარჯვებები გვჭირდება, რათა გავხდეთ ევროკავშირის წევრები, რაც მხოლოდ ჩვენზე იქნება დამოკიდებული. აღნიშნა, რომ გვაქვს ახალი სლოგანი - „თბილისი ევროპული ქალაქი“ და განაცხადა, რომ არცერთ ევროპულ ქალაქში არ არის ნაგავსაყრელები და იმედია, რომ ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმოძრაოთ. მისი თქმით, აღნიშნული არის ძალიან სერიოზული პრობლემა, რომელსაც ვერც ახალი მანქანები და ვერც ბუნკერები უშველის, რადგან საჭიროა სისტემური მიდგომა და დაინტერესდა, თბილისის მერიას დაგეგმილი აქვს თუ არა ნაგვის სეპარაციის სისტემის დანერგვა და ნაგავგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ასევე, აღნიშნა, რომ უფასო სასადილოებში ერთი ადამიანის კვებისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 1.70 ლარს და დაინტერესდა, ორნიშნა ინფლაციის ფონზე, რამდენად რეალურია ამ თანხით ვინმეს გამოკვება და თბილისის მერი ხომ არ ფიქრობს, რომ ამ საკითხს უნდა გადავხედოთ 2024 წლის ბიუჯეტში. ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ მის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მერიის სისტემაში დასაქმებულია მხოლოდ ექვსი შშმ პირი და იქიდან გამომდინარე, რომ ამ ადამიანებისთვის ყურადღების მიქცევა მუნციპალიტეტისგან ძალიან მნიშვნელოვანია, დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მერიის სტრუქტურაში შშმ პირების დასაქმების საკითხის გადახედვა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ ევროპული ქალაქი ვართ, ძალიან მნიშვნელოვანია რაც შეიძლება სწრაფად გადაიჭრას მიუსაფარი ცხოველების პრობლემა, რასაც სჭირდება დამატებითი თანხები და კარგი იქნება ვიფიქროთ ამ მიმართულებით დაფინანსების გაზრდაზე.

მარიამ ზაქარიაშვილი შეუერთდა მილოცვებს და აღნიშნა, რომ მისი კითხვა ეხება მიუსაფარ ცხოველებს, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მიმდინარეობს სტერილიზაცია-კასტრაციის პროცედურები, მაინც გამოწვევად რჩება ეს პრობლემა და დაინტერესდა, ხომ არ იქნება რაიმე სიახლეები ამ კუთხით და იგეგმება თუ არა ახალი თავშესაფრის მშენებლობა. აქვე განაცხადა, რომ მისასალმებელია კანონის გამკაცრება შინაური ცხოველების შესახებ და დაინტერესდა, როგორ იგეგმება აღსრულების მექანიზმის გააქტიურება შინაური ცხოველების ალიკაპის გარეშე ტარების და ცხოველთა ჩხუბის აკრძალვასთან მიმართებაში.

გიორგი ონიანმა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, პირველ რიგში, მიულოცა ქალბატონ ნანა მალაშხიას, ადამიანს, რომელიც სწორედ ამ არჩევანისთვის წყლის ჭავლს ებრძოდა რუსთაველზე და მადლობა გადაუხადა მას. მადლობა გადაუხადა ასევე, უკრაინაში დაღუპულ და მებრძოლ ქართველ გმირებს, რომლებიც სწორედ ამ არჩევანისთვის და სწორედ იმისთვის, რომ რუსეთმა არ გადაყლაპოს ჩვენი რეგიონი, დღემდე იბრძვიან, იბძოდნენ და თავი გაწირეს და განაცხადა, რომ ამ ადამიანების შემდეგ, ყველას ერთნაირად ულოცავს ამ გადაწყვეტილების მიღებას. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ მისი კითხვა ეხება უკრაინაში გარდაცვლილ მებრძოლებს, რომელთა მემორიალის და სკვერის გაკეთებას ითხოვს უკვე დიდი ხანია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მისი ინიციატივა გაგებული იქნა ისე, თითქოს ითხოვდა უკრაინელი და ქართველი მებრძოლების მემორიალის და სკვერის გაკეთებას, მიიღო ბუნდოვანი პასუხი, რომ საქართველოში უნდა ჩამოსულიყო უკრაინის წარმომადგენელი, რომელთან ერთადაც გადაწყდებოდა აღნიშნული საკითხი. აქვე განმარტა, რომ მისი ინიციატივა მოიცავს მემორიალის და სკვერის გაკეთებას უკრაინის ომში დაღუპული საქართველოს მოქალაქეებისთვის და დაინტერესდა, რას ფიქრობს თბილისის მერი იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისში გაიხსნას ამ ადამიანების სახელობის მემორიალი და სკვერი. გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტის მიმართულებით, ეთანხმება თბილისის მერის ზოგად მიდგომას, რომ ადამიანები კერძო ავტომობილებით სარგებლობიდან გადავიდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე, რადგან ეს არის სწორი მიდგომა, მაგრამ, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა და ხვალ და ზეგ არავინ აპირებს ამის გაკეთებას, რაც არ უნდა კარგი სერვისი შესთავაზოს მუნიციპალიტეტმა, თუმცა, აქაც პრობლემებია - ავტობუსების რაოდენობა არასაკმარისია. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, მომავალი წლის განმავლობაში, რა კონკრეტული გადაწყვეტილებები აქვს თბილისის მერიას, რომლებიც განაპირობებს ამ კუთხით არსებული პრობლემების მოგვარებას მანამ, სანამ საზოგადოება მივა იმ შეგნებამდე, რომ გადავიდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობაზე და ამ მიმართულებით გვექნება გამართული ინფრასტრუქტურა. გიორგი ონიანის თქმით, მოქალაქეებისგან ხშირად ისმის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში იმატა მიუსაფარი ცხოველების რაოდენობამ, რადგან ადრე უფრო მეტი სტერილიზაცია კეთდებოდა და დაინტერესდა, არის თუ არა რაიმე სიახლე ამ კუთხით არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. საუბრის ბოლოს, მიმართა თბილისის მერს: „2024 წელს, რა შედეგიც არ უნდა დადგეს ცენტრალური ხელისუფლების არჩევნებზე, აპირებთ თუ არა, თქვენი ვადა, რაც მოგანიჭათ მოსახლეობამ, ბოლომდე ამოწუროთ და განახორციელოთ მერის უფლება-მოვალეობები?“

გივი ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი და ყველას ულოცავს ამ მნიშვნელოვან დღეს. როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ისაუბრა დიდუბის რაიონში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მათი განხორციელებისთვის მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და მის გუნდს. აღნიშნა, რომ გასულ წელს საუბარი იყო ავტოსადგურ „ოკრიბას“ მოწესრიგებაზე და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე ამ მიმართულებით. აქვე აღნიშნა, რომ ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან რთული მდგომარეობაა, როგორც გადაადგილების, ასევე, პარკირების კუთხით და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე ამ მიმართულებით. გივი ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარი იყო მუშთაიდის ბაღის მონაცვლეობაზე და დაინტერესდა, ხომ არ არის რაიმე

კონკრეტული ინფორმაცია ამ მიმართულებით და ასევე, დაინტერესდა, დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიის რა ფართობი იქნა გამოსყიდული მიმდინარე წელს.

ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღება და განაცხადა, რომ ეს დღე მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს 1990-იანი წლების სტუდენტების იმ ნაწილს, რომელიც ილაშქრებდა იმ პერიოდში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ და ცდილობდა, რომ ბევრი ესაუბრა იმ გზაზე, რასაც დღეს მივაღწიეთ. განაცხადა, რომ აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მინიმუმ 30% არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას, რადგან საბჭოთა პერიოდში, კულტურული მემკვიდრეობის შენობის სტატუსი მექანიკურად ეძლეოდა 100 წლის შენობებს, რომელთა უმრავლესობა დღეს ავარიულ მდგომარეობაშია და, მათ შორის, რა თქმა უნდა, არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც, თუმცა არა ყველა შენობა. აღნიშნული დღეს პრობლემაა მოსახლეობისთვისაც, რადგან იქიდან გამომდინარე, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, ვერ ახორციელებენ მის რეკონსტრუქციას და პრობლემაა მუნიციპალიტეტისთვისაც, რადგან თუ მიიღებს რომელიმე ძეგლის რეაბილიტაციის გადაწყვეტილებას, ტექნიკურად ძალიან რთული იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, რადგან მის ირგვლივ არის მსგავსი ავარიული შენობები და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, უმჯობესი ხომ არ იქნება გადაიხედოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, რომ მართლაც შთამბეჭდავი დღეა დღეს ჩვენს ისტორიაში - ასეთი გადაწყვეტილება თითოეული ქართველისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და, რა თქმა უნდა, ყველას ულოცავს ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღებას. აქვე განაცხადა, რომ ასევე, შთამბეჭდავი იყო 2023 წელი, როგორც საანგარიშო წელი, რომელიც გამოირჩეოდა ჯანდაცვისა და სოციალური კუთხით სხვადასხვა მიმართულებების დაფინანსებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის. ფიქრობს, რომ 2024 წელიც გამორჩეული იქნება ამ თვალსაზრისით და იმედი გამოთქვა, რომ გათვალისწინებული იქნება კომისიის მიერ თბილისის მერიაში გადაგზავნილი რეკომენდაცია და მომავალი წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდება რევმატიული ართრიტის სამკურნალო ბიოლოგიური პრეპარატის დაფინანსების ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება, ანაზღაურება მოხდეს 50%-იანი თანადაფინანსებით იმ მოქალაქეებთან ერთად, რომლებსაც ესაჭიროებათ ეს ძვირადღირებული პრეპარატი. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა თბილისის მერიის წარმომადგენლებს სვანეთის უბანში, გუმათის ქუჩის მიმდებარედ წყალარინების კუთხით მიღებული კარგი გადაწყვეტილების გამო.

თბილისის მერმა, მერის პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა უპასუხეს საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ სისტემური რეგისტრაციების მიმართულებით არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით, თბილისის მერიამ იუსტიციის სამინისტროსთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რათა მათი თანამონაწილეობით მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ათიათასობით ადამიანს, ვინც ელოდება მიწების რეგისტრაციას. პირველ ეტაპზე, გამოყოფილია არეალები, სადაც დაიწყება სამუშაოები, თვეების მიხედვით გაწერილია შემდეგი არეალები, ეტაპობრივად ამ მიმართულებით არსებული ყველა საკითხი იქნება მოწესრიგებული და ფიქრობს, რომ აღნიშნული პროექტი დასრულებული იქნება 2024 წლის ბოლოსთვის. შეკითხვაზე, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ფიქსაცია მოხდეს საპატრულო პოლიციის ადგილზე მისვლამდე, განაცხადა, რომ ეს გარემოება მართლაც ძალიან დიდ დისკომფორტს და პრობლემას იწვევს დედაქალაქში, განსაკუთრებით პიკის საათებში. აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა საპატრულო პოლიციასთან და იმაზე, თუ რა სახის შეთანხმება იქნა მიღწეული, უფრო დეტალურად

ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. მეტროს ვაგონების განახლების გრაფიკთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მოხდეს ეტაპობრივი ჩანაცვლება, რადგან იმ მეტროს ვაგონებს, რომლებიც დღეს ემსახურება თბილისის მოსახლეობას, გარკვეული დროის შემდეგ ეწურება რესურსი. შესაბამისად, საჭიროებს ჩანაცვლებას და მუნიციპალიტეტის პროგრამა მდგომარეობს იმაში, რომ ექსპლოატაციის ვადის გასვლისთანავე მოხდეს ახალი ვაგონებით ჩანაცვლება, ხოლო რაც შეეხება მომწოდებელ კომპანიას, ამასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს აზრთა კვლევა, როს შემდეგაც გამოცხადდება ტენდერი და გაირკვევა, თუ რომელი კომპანია იქნება მომწოდებელი. გიორგი შარაშიძის მიერ გამოთქმულ პროტესტზე, თუ რატომ წარსდგა თბილისის მერი საკრებულოში დღევანდელ დღეს, განმარტა, რომ დღევანდელი შეხვედრა დაიგეგმა დიდი ხნის წინ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც გაუგებარია რა არის ცუდი იმაში, რომ ეს თარიღი დაემთხვა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას და ფიქრობს, რომ, პირიქით, ყველა გახარებული უნდა ვიყოთ და წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ქვეყანას. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი დღეა და პირიქით, სასიამოვნოა, რომ ვართ შეკრებილები და ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა არის უკეთესი ჩვენი ქალაქისთვის, რა გამოწვევები გვაქვს და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრობლემები მოვაგვაროთ. მიუსაფარი ცხოველების კუთხით არსებულ პრობლემაზე აღნიშნა, რომ გაჟღერდა ინფორმაცია, თითქოს შემცირებულია სტერილიზაცია, თუმცა, ეს ასე არ არის, დღესაც მიმდინარეობს სტერილიზაციის პროცესი, რისთვისაც თანხებიც არის გამოყოფილი, უბრალოდ, გაზრდილია მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა, რაშიც, პირველი დამნაშავეები ვართ ადამიანები, რადგან ძაღლი არ არის ნივთი, რომელიც შეიძლება აიღო და გარეთ დააგდო, თუ ვიღებთ პასუხისმგებლობას ძაღლის ყოლაზე და მის მოვლა-პატრონობაზე, არ უნდა გვქონდეს ის დამოკიდებულება, რაც, ხშირ შემთხვევაში, აქვთ ხოლმე ადამიანებს. მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით აქვს ჰუმანური დამოკიდებულება და აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, მომავალ კვირას, დარეგისტრირდება საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მომზადებაში ჩართული იყო აბსოლუტურად ყველა, ვინც ამ მიმართულებით მუშაობს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციები, ვეტერინარები და ა.შ. რა თქმა უნდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობა და გაწერილია მთელი რიგი პროცედურები, თუ რა უნდა გაკეთდეს. აქვე აღნიშნა, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მზად არის, რომ კანონპროექტის მიღებისთანავე გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა დედაქალაქში ამ მიმართულებით არსებული პრობლემა იყოს მოწესრიგებული. ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით დასმულ კითხვებზე და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ქალაქისთვის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა ავტოსატრანსპორტო საშუალებების თვალსაზრისით დღეს არსებული მდგომარეობა. 2017 წელს, მუნიციპალიტეტმა დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელება სატრანსპორტო პოლიტიკის სახით, რომელიც შედგება ბევრი კომპონენტისგან. ამ პროცესში დედაქალაქის მერია არის აბსოლუტურად თანმიმდევრული, დაქირავებული ჰყავს ბევრი საერთაშორისო კომპანია და დიდი გამოცდილების მქონე უცხოელი ექსპერტები, რომელთა მხარდაჭერით და თანადგომით ახორციელებს პროექტს. ყველამ ვიცით, რომ აღნიშნული პროექტი არის გრძელვადიანი, რომელიც 2-3 წლის განმავლობაში ვერ დასრულდება, დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ თბილისზე სატრანსპორტო კუთხით მიმართული იყოს გარკვეული თანხები, რათა რაც შეიძლება მალე დასრულდეს დაწყებული რეფორმა. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც გაკეთდება და ამით ყველაფერი დასრულდება, რადგან ეს არის გრძელვადიანი პროცესი, რომელსაც გაგრძელება სჭირდება. თბილისს ემსახურებოდა 450 ყვითელი ავტობუსი, რომლებით მგზავრობაც, შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის მოსახლეობისთვის იყო შეურაცხყოფა. თბილისის მერიამ დაიწყო არსებული პარკის განახლება და მოწესრიგება, რაც, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია გარკვეულ დროსთან, რადგან „ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ერთ დღეში მთლიანად შეიცვალოს ავტობუსების პარკი". დღეს თბილისს ემსახურება 800-ზე მეტი ახალი, თანამედროვე, ევროპული ტიპის, ავტობუსი და 1000-მდე მიკროავტობუსი და ეს ყველაფერი

განხორციელდა 2017 წლიდან დღემდე, მაგრამ, პროცესი გრძელდება - ვიყიდეთ ახალი, 18 მეტრიანი ავტობუსები, რომელთა დამზადებას სჭირდება დრო, თუმცა, გარკვეული რაოდენობა უკვე დამზადებულია და თბილისშია, დეკემბრის ბოლოს კიდევ 50 ერთეული ავტობუსი შემოვა, ხოლო მომავალი წლისთვის მთლიანად იქნება დამზადებული, შემოვა თბილისში და მოემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას. აღნიშნა, რომ საუბარი იყო ავტობუსებში გადატვირთულობაზე, რაც შეფასდა ისე, თითქოს ცოტა ავტობუსი ემსახურება თბილისს და განაცხადა, რომ ეს ასე არ არის, რადგან დღეს ავტობუსების გადატვირთულობას იწვევს ის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის, უნივერსიტეტის ქუჩაზე, წერეთლის გამზირზე და სხვა კონკრეტულ გამზირებსა და ქუჩებზე, რომლებსაც აწარმოებს თბილისის მერია, რადგან აღნიშნული პროექტების განხორციელება იმ მოცემულობაში, რაც დღეს ქალაქში გვაქვს, პიკის საათებში, როდესაც 650000 ავტომობილი გადაადგილდება, ძალიან დიდ დისკომფორტს იწვევს მოსახლეობაში და, რა თქმა უნდა, გადაადგილების თვალსაზრისითაც უდიდესი პრობლემაა. ამ ყველაფერს აქვს ჯაჭვური რეაქცია - ის, რომ ავტობუსი კონკრეტულ გაჩერებაზე აგვიანებს სამუშაოების გამო, იწვევს იმას, რომ თუ თავის დროზე მისულ ავტობუსში უნდა ასულიყო ხუთი ადამიანი, დაგვიანებით მისულს უკვე დახვდა ათი ადამიანი და იგივე ხდება შემდეგ გაჩერებებზეც. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ავტობუსი განსაზღვრულ დროს ვერ მიდის გაჩერებებზე, რაც იწვევს მის გადავსებას, რაც, რა თქმა უნდა, დისკომფორტია. შესაბამისად, აღნიშნული არავითარ კავშირში არ არის ავტობუსების რაოდენობასთან, მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა დაამატოს ავტობუსები, თუმცა, ამით გამოიწვევს უფრო მეტი პრობლემის შექმნას, რადგან უფრო მეტი საცობი იქნება კონკრეტულ მონაკვეთებზე და გადაადგილება კიდევ უფრო დიდი დისკომფორტი იქნება. 18 მეტრიანი ავტობუსებისთვის განსაზღვრულია კონკრეტული მარშრუტები, რომლებიც დადგენილია ჩატარებული კვლევების საფუძველზე და, რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანი იქნება სატრანსპორტო რეფორმისთვის. რაც შეეხება ქუჩების დახაზვას, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, არ შემოიფარგლოს ქუჩების მხოლოდ ზედაპირული შეკეთებით და ძირეულად გაკეთდეს კონკრეტული ქუჩები თუ ადგილები, თავისი მიწისქვეშა კომუნიკაციებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, ცხადია, მერია არ დაელოდება ყველა ქუჩის კაპიტალურად შეკეთებას, რათა შემდეგ დაიხაზოს, მაგრამ გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, უწევს თავის შეკავება, მაგალითად, იმის გამო, რომ დღეს წერეთლის გამზირზე მიმდინარეობს რეაბილიტაცია, თავს იკავებს დადიანზე საავტობუსე ზოლის დახაზვისგან მანამ, სანამ არ დასრულდება წერეთლის გამზირზე მიმდინარე სამუშაოები და იგივე დამოკიდებულება აქვს დავით აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმაშენებლის ხეივანზე, მარშალ გელოვანის გამზირზე და სხვა. ყველა ხედავს, რომ მერია ცდილობს, ერთი წლის განმავლობაში არ განახორციელოს ორზე მეტი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რადგან აღნიშნული იწვევს დისკომფორტს და მოსახლეობის უკმაყოფილებას, თუმცა, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ შეუძლებელია მსგავსი პროექტების განხორციელება ისე, თუ გზა არ გადაიკეტა და არ შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომლებთან დაკავშირებითაც ყველამ ვიცით, როგორი უმძიმესი მდგომარეობაა ქალაქში. სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია მეტროს ვაგონების სრული განახლება-მოდერნიზება, მეტროსადგურების განახლება, რასთან დაკავშირებითაც მერია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და ძალიან მალე შეძლებს პროექტების წარმოდგენას, საერთაშორისო ტენდერების გამოცხადებას, სადაც იქნება შესაძლებლობა, რომ მონაწილეობა მიიღონ უცხოურმა სამშენებლო კომპანიებმაც, რადგან ამ მიმართულებითაც არსებობს გამოწვევები - ყველა ვხედავთ, რამდენი ხანი გრძელდება ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაცია, რაც გამოწვეულია იმით, რომ თავდაპირველად ვერ ვნახეთ სპეციალისტები, რომელბიც გააკეთებდნენ პროექტს, შემდეგ კომპანიები ერიდებოდნენ სამუშაოების განხორციელებას იმ მიზეზით, რომ იქ მოხდა ჭერის ჩამონგრევა. ყველა თავს იკავებს პასუხისმგებლობის აღებაზე და არც შესაბამისი გამოცდილება აქვთ, რის გამოც საქართველოში ძალიან ჭირს ისეთი კომპანიების მოძებნა, ვინც ამ მიმართულებით იმუშავებს. სატრანსპორტო კუთხით, დღეს ქალაქში ყველაზე დიდი პრობლემა არის ავტომობილების რაოდენობა, რაზეც მეტყველებს

სტატისტიკა - დღეს, პიკის საათებში გადაადგილდება 650000-ზე მეტი ავტომობილი, ხოლო 2012 წლამდე, გადაადგილდებოდა დაახლოებით 180000 ავტომობილი. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი ახსნა - საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყო „უვარგისი და გაუბედურებული", რის გამოც ძალიან იყო შემცირებული მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობა, რაც საგრძნობლად გაიზარდა ბოლო წლებში. განაცხადა, რომ სატრანსპორტო რეფორმის მთავარი მიზანი და ამოცანა არის; საზოგადოებრივი ტრანსპორტი გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ყველაზე სწრაფი და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება მუნიციპალურ ტრანსპორტზე მოთხოვნა. აქვე აღნიშნა, რომ ხშირად ისმის კრიტიკა საავტობუსე ზოლების გაკეთებასთან დაკავშირებით, თუმცა, თუ დავაკვირდებით ქალაქის იმ მონაკვეთებს, სადაც ჯერ არ არის დახაზული „ბასლაინები", მაგალითად, აღმაშენებლის ხეივანს, ვნახავთ, რომ რაც იქ ხდება, „სრული კატასტროფაა", შეუძლებელია გადაადგილება და იმ საცობში დგას საზოგადოებრივი ტრანსპორტიც, რომელსაც, დღის განმავლობაში, გადაჰყავს უამრავი ადამიანი. აქედან გამომდინარე, წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, დაგეგმილია საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლების დახაზვა იმისთვის, რომ ავტობუსმა შეფერხების გარეშე შეძლოს გადაადგილება. ქავთარაძის ქუჩაზე ხსენებულ საცობთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული დიდწილად გამოწვეული იყო იმით, რომ, რეაბილიტაციის გამო, დაკეტილი იყო უნივერსიტეტის ქუჩა და გადაადგილების თვალსაზრისით პრობლემა იყო როგორც ქავთარაძის ქუჩაზე, ასევე, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, თუმცა, დღეს ეს პრობლემა მოხსნილია. პარკინგთან დაკავშირებით დაჯარიმებაზე დასმულ კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმიზეზოდ არავინ ჯარიმდება და რაც ხდებოდა „city park"-ის დროს, ეს იყო ის, რომ კომპანიას ბიზნესად ჰქონდა ქცეული ადამიანების დაჯარიმება, რომლებიც არ იმსახურებდნენ და უბრალოდ აჯარიმებდნენ იმისთვის, რომ გაეზარდათ თავისი შემოსავალი. დღეს არის აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება - თუ მძღოლი არ არღვევს პარკირების წესებს, ის არავითარ შემთხვევაში არ დაჯარიმდება, ხოლო თუ ავტომობილს გააჩერებს და დატოვებს ზებრა გადასასვლელზე ან ტროტუარზე, რა თქმა უნდა, ამაზე იქნება შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება და ფიქრობს, რომ ამ მიმართულებითაც უნდა იყოს მხარდაჭერა, რათა საზოგადოება მიეჩვიოს წესრიგს და არ იყოს ქაოსი. 2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებას" ამ მიმართულებით დაწყებული აქვს მზადება და ჩატარებული კვლევებისა და საზოგადოების განწყობის მიხედვით, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" არის უალტერნატივო ძალა ქვეყანაში, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობის მხადაჭერით აქვს ძალიან დიდი რესურსი იმისა, რომ მოიპოვოს კონსტიტუციური უმრავლესობა. ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე დასმულ კითხვაზე აღნიშნა, რომ ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, მათ შორის, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე, რომ მზად ვართ თანამშრომლობისთვის, რაც არ არის უბრალოდ სიტყვები და განაცხადა: „მე, როგორც მერი, ჩვენი მთავრობის წევრები და საკრებულოს წევრები მზად ვართ თანამშრომლობისთვის. ჩვენ შეიძლება გვქონდეს პოლემიკა, განსხვავებული მოსაზრებები რაღაც საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ, შეურაცხყოფის მიყენება, უხამსი განცხადებების გაკეთება არ არის სწორი და მიზანშეწონილი. თუ იქნება კონსტრუქციული თანამშრომლობა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ - მე არ გთხოვთ იმას, რომ გვაქოთ და გვადიდოთ, პირიქით, იყავით კრიტიკულები, შემოდით პოლემიკაში, მაგრამ ეს უნდა იყოს ჯანსაღი და არა სიცრუეზე დაფუძნებული, არამედ უნდა იყოს სწორი." უსახლკაროთა პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე აღნიშნა, რომ მართლაც ძალიან კარგი პროგრამაა, მუნიციპალიტეტის სურვილია, ყველა ოჯახი იყოს დაკმაყოფილებული, რათა თბილისში აღარ იყოს უსახლკარო სტატუსის მქონე ადამიანი და თუ საკრებულოს ნამსჯელი აქვს, თუ რა ოდენობით უნდა გაიზარდოს ამ მიმართულებით თანხა, წარმოადგინოს და მერია გაითვალისიწინებს ბიუჯეტში, რათა ბინების შესყიდვის თვალსაზრისით არ იყოს პრობლემები, რადგან მართლაც ბევრი ადამიანი ელოდება დაკმაყოფილებას. მუნიციპალური ინსპექციის ფუნქცია-მოვალეობების გაზრდასთან დაკავშირებით მიმართა რევაზ სოხაძეს: „თუ გაქვთ რაიმე კონკრეტიკა, შეგვიძლია გავაკეთოთ სამუშაო შეხვედრა და გავიაროთ ყველა დეტალი". აქვე აღნიშნა, რომ ანაზღაურება, ზოგადად,

გამოწვევაა ყველა მიმართულებით და ვიცით, რომ პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ით იზრდება ხელფასები ყველა საჯარო მოხელისთვის, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა, კარგი იქნება იყოს უფრო მეტი. თბილისის, მცხეთისა და რუსთავის ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკის სინქრონიზაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებითაც შესაძლებელია სამუშაო შეხვედრის მოწყობა და მსჯელობა. ლიფტებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განმარატა, რომ 2023 წელს განხორციელდა 530 ლიფტის მოწესრიგება, რაც ამ მიმართულებით არსებული პრობლემების ფონზე, ძალიან პატარა ციფრია და პრობლემის მოგვარებისთვის რაც უნდა გაკეთდეს, არის ის, რომ, პირველ რიგში, ამხანაგობების მიერ, ლიფტებს უნდა ჩაუტარდეს შემოწმება, რადგან აუცილებელია საექსპერტო დასკვნები, რომ ის საჭიროებს განახლებას და რეაბილიტაციას, რის შემდეგაც, თბილისის მერია, რაიონული გამგეობების ჩართულობით, განახორციელებს ლიფტების განახლება-მოწესრიგებას. ნაგავსაყრელთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ყველა თანამედროვე ქალაქს აქვს ნაგავგადამამუშავებელი საწარმოები, ხდება ნარჩენების დახარისხება და ჩვენც, რა თქმა უნდა, გადავდივართ ამ მიმართულებაზე, რაც ჩვენთვის სიახლეა და აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, საქართველოში ამ მიმართულებით გამოცდილება არავის აქვს. ამიტომ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მათი ექსპერტების ჩართულობით გვეხმარებიან და მომავალი არის იმისკენ, რომ აღარ იყოს ის მდგომარეობა, რაც დღეს გვაქვს - მიწას ვთხრით და იქ იყრება ნარჩენები, რაც „სრული კატასტროფაა" და აუცილებლად მოსაწესრიგებელია, ხოლო იმაზე, თუ რა ეტაპზე ვართ ამ მიმართულებით, დეტალურად ისაუბრებს ანდრია ბასილაია. უფასო სასადილოების მიმართულებით არსებულ დაფინანსებაზე აღნიშნა, რომ მისი ქალაქის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ამ კუთხით გამოყოფილი იყო 1.18 ლარი, დღეს არის 1.70 ლარი, რაც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი და კარგი იქნება, იყოს უფრო მეტი. ხოლო რაც შეეხება ინფლაციას, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, საიდან აქვს ვახტანგ სურგულაძეს მის მიერ ხსენებული ციფრები, რადგან გასულ წელს ინფლაცია იყო 6% და მიმდინარე წელს ვარაუდობენ 4%-ს. ასე, რომ ეკონომიკურ განვითარებასთან და წინსვლასთან ერთად, რა თქმა უნდა, გაიზრდება უფასო სასადილოების მიმართულებით გამოყოფილი დაფინანსება. ისაუბრა შშმ პირების მერიის სტრუქტურაში დასაქმებაზე და აღნიშნა, რომ ჩვენ არ ვსაზღვრავთ ადამიანს ფიზიკური შესაძლებლობებით. შესაძლებელია იყოს კონკრეტული ადგილი, სადაც ვერ იმუშაოს შშმ პირმა, თუმცა, არის ისეთი ადგილები, სადაც მათ არანაირი პრობლემა არ აქვთ და არც ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ამის გამო ვინმესთვის უარი ეთქვათ დასაქმებაზე. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამაში მწვრთნელების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით მიმართა გურამ ოქროპირიძეს: „წარმოადგინეთ რამდენ ადამიანზეა საუბარი და განვიხილოთ, რა სტატუსი და რა კვალიფიკაცია აქვთ მათ და გადავწყვიტოთ". პიროტექნიკასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, პარლამენტში დაწყებულია ამ საკითხზე მუშაობა და 2024 წლისთვის გაკეთებული იქნება საკანონმდებლო ცვლილებები და ის პრობლემა, რაც დღეს გვაქვს, მოწესრიგებული იქნება. ისაუბრა სკოლებში ბავშვთა უფასო კვებაზე და განმარტა, რომ ეს მუნიციპალიტეტის თემა არ არის, რადგან სკოლები განათლების სამინისტროს კომპეტენციაა და თუ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ქვეყნის დონეზე, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტიც ჩართული იქნება აღნიშნულ პროგრამაში. ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა: „ყველა, რა თქმა უნდა, გახარებულები ვართ. ძალიან ბევრი შრომა და მუშაობა მოგვიწია, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები დარბოდნენ ბრიუსელში და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ როგორმე ქვეყანას სტატუსი არ მიეღო. არ ვიცი, როგორ უნდა გძულდეს შენი ქვეყანა, შენი ხალხი ისე, რომ ასეთ რაღაცებს კადრულობდე და აკეთებდე... შეიძლება რაღაცაში თანხვედრაში არ იყო ხელისუფლებასთან, იყო პოლემიკაში, რაღაც არ მოგწონდეს ან გძულდეს ხელისუფლება, მაგრამ, როდესაც საუბარია შენი ქვეყნის მომავალზე, როდესაც საუბარია ევროინტეგრაციაზე და შენ პოლიტიკოსი ბქვია და პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენ, დადიხარ ბრიუსელში იმისთვის, რომ როგორმე ხელი შეუშალო ქვეყანას ამ რთულ გზაზე მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რაც ხდება მსოფლიოში და

რეგიონში, ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დიდი მავნებლობა და დანაშაული. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, მოგვიწია ბრძოლა და ქვეყნის ინტერესების დაცვა, ჩვენ ასე ვაპირებთ მომავალშიც მყარად, ორ ფეხზე დგომას და ვისაც იმის სურვილი აქვს, რომ ცალ ფეხზე იდგეს, ეს მათი უფლებაა, ამაშიც არავის შევზღუდავთ, მაგრამ ჩვენ სანამ ვართ ხელისუფლებაში, პირველ რიგში, გავატარებთ ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანების ინტერესებს და დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა ევროპა, გვინდა ევროპული მომავალი, მაგრამ ისე არა, რომ ვიღაცამ „თავში წამოგვარტყას", მიგვითითოს, როგორც ზოგიერთი რადიკალი ცალ ფეხზე დგომას და ა.შ., გამოიყენოს ქვეყანა საკუთარი მიზნებისთვის და ინტერესებისთვის. ყველას თავისი ინტერესი აქვს, ჩვენ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს, ჩვენ უნდა დავიცვათ საკუთარი ინტერესები და, რა თქმა უნდა, გვინდა ევროპა, გვინდა ევროპული მომავალი, მაგრამ ღირსებით, თავაწეულებს. არ დაგვავიწყდეს, რომ ქართველები ვართ - უდიდესი კულტურის და უდიდესი ტრადიციის მქონე ხალხი ვართ. ვამაყობთ ჩვენი წარსულით, ჩვენი წინაპრებით და ამ ყველაფრით ვართ ჩვენ საინტერესო ევროპისთვის. ასე რომ, მეგობრებო, ის, რომ დღეს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო კანდიდატის სტატუსი, ეს არის ქართველი ხალხის დამსახურება და იმ გუნდის დამსახურება, რომელსაც „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" ჰქვია. ეს არის რეალობა". ავლაბრის მეტროს სამუშაოებთან და სამგორის რაიონში საბაგიროსთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე აღნიშნა, რომ ამ საკითხებზე ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე. დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობაზე აღნიშნა, რომ სამუშაოები დასრულებული იქნება გაზაფხულზე. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია იმ თვალსაზრისით, რომ ერთ არეალში თავმოყრილია საჭიდაო დარბაზი, კალათბურთის მოედანი, ტანვარჯიშისთვის განკუთვნილია ცალკე სივრცე, სატრენაჟორო დარბაზები, საცურაო აუზები და ა.შ. ვეფხვი და მოყმის პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროექტირებაზე დავალება გაცემულია, წარმოდგენილი იყო რამდენიმე ვარიანტი და უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელდეს. პროექტი არის საკამოდ მვირადღირებული და მოიცავს მიწისქვეშა გვირაბების, ახალი ესტაკადების, ახალი საავტომობილე ხიდის და ა.შ. მშენებლობას, ვფიქრობთ, დაახლოებით 300000000 ლარი დაჯდება, თავისი გამოსყიდვებით და ყველაფრით, თუმცა, აღნიშნული უფრო დაზუსტდება პროექტის დონეზე და სურვილი გვაქვს, რომ მომავალ წელს დავიწყოთ გარკვეული სამუშაოები. საბურთალოს რაიონში გამზირების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაგეგმილია ვაჟა-ფშაველას გამზირის მოწესრიგება, რომლის სამუშაოებიც სავარაუდოდ დაიწყება 2025 წელს. იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარება იქნება ქალაქში გადაადგილების თვალსაზრისით, მსგავსი პროექტების განხორციელებისას, ყოველთვის მაქსიმალურად ვცდილობთ, შევარჩიოთ ისეთი დრო, რომ რაც შეიძლება ნაკლები პრობლემა შეიქმნას ან ერთობლივად არ ხორციელდებოდეს რამდენიმე პროექტი. შეკითხვაზე, თუ რატომ არ ეკითხება თბილისის მერია მოსახლეობას მოსწონს თუ არა ესა თუ ის სამშენებლო პოექტი, განაცხადა, რომ ქალაქის ურბანული განვითარება ხდება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფარგლებში და დღევანდელი ხელისუფლება ნამდვილად არის ქალაქის ის მთავრობა, რომელმაც თბილისში დაასრულა ქაოტური განაშენიანება. შშმ პირების შეღავათიან მგზავრობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შენიშვნა მისაღებია და თბილისის მერია მზად არის გაითვალისწინოს აღნიშნული. საგზაო სამუშაოებში კომპანია „GWP"-ის ჩართულობაზე აღნიშნა, რომ დღეს ქალაქში არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციები სერიოზული გამოწვევაა და გამგეობებს უჭირთ საგზაო სამუშაოების განხორციელება იქიდან გამომდინარე, რომ შეიძლება წააწყდნენ ძალიან ბევრ პრობლემას, მათ შორის, დაზიანდეს მილი, ამოასხას წყალმა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მაქსიმალურად ცდილობს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, ამ კუთხით ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა და თბილისის მერია ყველაფერს აკეთებს და გააკეთებს მათ მოსაგვარებლად. რაც შეეხება გარდამავალი ნაშთის სახით ბიუჯეტში დამატებით 60000000 ლარის გადანაწილებას, განმარტა, რომ ეს თანხა მიმართულია კონკრეტულ პროექტებზე, თუმცა, წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტი შეძლებს დამატებითი თანხების მობილიზებას ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომლის გადანაწილებასაც თბილისის მერია დაგეგმავს საკრებულოსთან ერთად. ტვერელის ეკლესიის მიმდებარე

ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებული პროექტი განხორციელებული იქნა იმ ზონირებით და იმ კოეფიციენტის ფარგლებში, რაც არის დღეს მოცემული, ხოლო რაც შეეხება ირაკლი ბენდელიანის მიმართ გაჟღერებულ ბრალდებას, ამას თავად უპასუხებს. შეკითხვაზე, აპირებს თუ არა, რომ 2024 წლის არჩევნების შედეგების მიუხედავად მერობის ვადის ამოწურვამდე იყოს ამ თანამდებობაზე, განაცხადა, რომ „მინდა გითხრათ, რომ 2025 წლამდე ვემსახურები თბილისს, თბილისელებს და შემდეგ, ვნახოთ". ავტოსადგურ „ოკრიბასთან" დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივა, მისი ინფორმაციით ამ მიმართულებით მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო, რომელსაც სურვილი აქვს, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება მოხდეს არა მარტო დიდუბის რაიონში, არამედ, მთელი ქალაქის მასშტაბით, რადგან ამ მიმართულებით ყველგან გაუმართავი და მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა. მუშთაიდის პარკთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თბილისის მთავრობის სურვილია ამ ტერიტორიის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნება, რადგან იქ არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რითიც დღეს მერია ახორციელებს პარკების და სკვერების განახლება-რეაბილიტაციას. ელიავას ბაზრობის ტერიტორიასთან და დიღმის ტყე-პარკთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ირაკლი ხმალაძე ისაუბრებს დეტალურად, თუ რა მდგომარეობაა ამ მიმართულებებით. კულტურული ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობის ხელახალი აღრიცხვის ინიციატივაზე განაცხადა, რომ იზიარებს ამ წინადადებას და ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია კულტურის სამინისტროსთან ერთად მსჯელობა. რევმატიული ართრიტის სამკურნალო ბიოლოგიური პრეპარატის დაფინანსების ქვეპროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხზეც შესაძლებელია მოეწყოს შეხვედრა მერიის შესაბამის სამსახურთან და აქვე, განაცხადა, რომ თბილისის მერია ყოველთვის მიესალმება მსგავს მხარდამჭერ პროგრამებს, რათა ადამიანებს შეუმსუბუქოს მდგომარეობა. უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების სახელობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე შესაძლებელია შეთანხმება, აუცილებელია არ არის გაიხსნას ახალი სკვერი, შესაძლებელია შეირჩეს რომელიმე უკვე არსებული სკვერი და მიენიჭოს მათი სახელი. საუბრის ბოლოს, საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა დასმული შეკითხვებისთვის და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი, რომელიც დღეს არის წარმოდგენილი და საკრებულოს მხარდაჭერით დამტკიცდება, არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის საბოლოო ბიუჯეტი, რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან მუნიციპალიტეტს აქვს მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა, რომ კიდევ დამატებითი თანხები წამოვიდეს თბილისის ბიუჯეტში იმისთვის, რომ წლის განმავლობაში განხორციელებული იქნას სხვადასხვა პროექტები.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ საცობების შექმნაზე მართლაც ძალიან დიდი გავლენა აქვს, თუნდაც უმნიშვნელო, საგზაო შემთხვევებს, განსაკუთრებით პიკის საათებში და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული უფრო სამართლებრივი შეფასების ნაწილია და ნაკლებად უკავშირდება სადაზღვევო კომპანიებს, მუნიციპალიტეტს კომუნიკაცია ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და საპატრულო პოლიციასთან, რომლის ფარგლებშიც, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ადგილი არ ექნება ადამიანის დაზიანებას, საპატრულო პოლიციის ოპერატორი აკეთებს შეთავაზებას, რომ თუ მხარეები თანახმა იქნებიან, მოხდეს ფოტო-ვიდეო გადაღება და ავტომობილების გადაყვანა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო თუ რომელიმე მხარე იქნება წინააღმდეგი, ზეწოლის და ზემოქმედების მექანიზმი გათვალისწინებული არ არის. ეს მოდელი შემუშავებული იქნა საპატრულო პოლიციის კანონმდებლობის გათვალისწინებით, დისკრეციის ფარგლებში, სადაც საპატრულო პოლიცია აფიქსირებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა და ეს არის მხოლოდ ადმინისტრაციული დარღვევა. აღნიშნული არის ახალი პრაქტიკა, ვნახოთ, როგორ იმუშავებს და იმ შემთხვევაში თუ ამან არ გამოიღო სასურველი შედეგი, შესაძლებელია დისკუსიის კიდევ უფრო გაღრმავება და სხვა ფორმატში მსჯელობა საკანონმდებლო ინიციატივის სახით. ავლაბრის მეტროსთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განმარტა, რომ უკვე გაგრძელდა სამუშაოები, რომელიც უნდა დასრულდეს

მომავალი წლის ზაფხულში. აქვე ისაუბრა სამუშაოების შეჩერებაზე და აღნიშნა, რომ ამის მიზეზი იყო სამუშაოების წარმოების დროს კონსოლის დემონტაჟის აუცილებლობა ან პირიქით, გამოვლენილი გარემოებები, რაზეც ექსპერტები და პროექტანტები საკმაოდ ხანგრძლივად მუშაობდნენ. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ეს ისეთი ინფრასტრუქტურაა, სადაც ჩარევა განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს და ამიტომ არ ვიჩქარეთ არცერთი გადაწყვეტილების მიღება, თანმიმდევრულად მივყევით პროექტანტების რჩევებს და ექსპერტების შეფასებებს. უკვე დასრულებულია პროცესი და გაკეთებულია საბოლოო შეფასება, ვიზუალურ ნაწილში გვიწევს გარკეული ჩარევები დიზაინთან დაკავშირებით და მშენებლისთვისაც გადაცემულია საბოლოო პოზიცია, რომ შეუძლია გააგრძელოს სამუშაოები. სამგორის რაიონში საბაგიროს მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მართალია პროექტი ვერ მოხვდა 2024 წლის ბიუჯეტში, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. პროექტი, რომელსაც ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები განიხილავდნენ საკმაოდ ძვირადღირებულია, დაფინანსებასთან დკავშირებით ისევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და იმედია, უახლოეს მომავალში შევძლებთ პოზიციების შეჯერებას და ამ პროექტის განხორციელებაზე უფრო გაბედულად და თამამად ვისაუბრებთ. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა საბა ბუაძის კითხვებზე და მის მიერ ხსენებულ მონაცვლეობაზე, რომელსაც თითქოს თბილისის მერი არ აწერს ხელს, განმარტა, რომ თავად მხარემ განაცხადა უარი ხელმოწერაზე და შესაბამისად, შეუძლია მას ჰკითხოს მიზეზი. რაც შეეხება წყნეთში ხსენებულ მშენებლობას, ამ საკითხზე წარმოება დაწყებულია, ჯარიმა გამოწერილია, საქმე გადაგზავნილია სასამართლოში და როდესაც ხდება „ქეისების“ შედარება, შერჩეული უნდა იქნას ერთნაირი შემთხვევები, რადგან სასამართლოში გაგზავნილ საქმეებზე მუნიციპალიტეტს სხვადასხვა რეაგირება არასდროს აქვს და როდესაც დასრულდება წარმოება, მიღებული იქნება შესაბამისი სამართლებრივი ზომები. ავტობუსების გადატვირთულობასთან დაკავშირებით გაჟღერებულ კითხვაზე აღნიშნა, რომ მათი გუნდის თბილისის ხელისუფლებაში მოსვლისას, ავტობუსების ტევადობა იყო 55000 ადგილი, რომელიც გაიზარდა 83000-მდე, ხოლო როდესაც 160 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი შემოვა, იქნება 109000 ადგილი, რაც შესაძლებელია არ იყოს საკმარისი, თუმცა, თბილისის მერიას არასდროს უთქვამს, რომ დაასრულებს პროგრამას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ გაიზრდება ტევადობა. ელიავას ბაზრობის ტერიტორიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა მოლაპარაკებების პროცესი, დაახლოებით ორი კვირის წინ დამტკიცდა გზათა ქსელი, ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მესაკუთრესთან უკვე მიმდინარეობს მუშაობა გეგმარებაზე და იმედია მომდევნო წლის პირველ-მეორე კვარტალში ამ კუთხით გვექნება გარკვეული სიახლეები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება ამ ტერიტორიის მოწესრიგება და განახლება. დიღმის ტყე-პარკთან დაკავშირებით განმარტა, რომ სულ არის დაახლოებით ოცდარვა მესაკუთრე, ამ ეტაპზე, რვა პირისგან უკვე გამოსყიდულია ჯამში 3.5 ჰექტარი, ხოლო ათთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ანდრია ბასილაიამ ისაუბრა ნაგავსაყრელთან დაკავშირებით დასმულ საკითხზე და აღნიშნა, რომ თბილისის მერია აქტიურად მუშაობს საერთაშორისო ექსპერტებთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და უკვე შემუშავებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი: მომდევნო რამდენიმე თვეში გაფორმდება ხელშეკრულება ახალი გადამტვირთი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით და არსებული სადგურის გაფართოებასთან დაკავშირებით, რომელიც საოპერაციო კუთხით მნიშვნელოვნად დაგვეხმარება; რაც შეეხება ნაგავსაყრელს, უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ ნაგავსაყრელს აქვს ბევრი პრობლემა, რადგან, სამწუხაროდ, როდესაც ის მოეწყო, 2011 წელს, დაცული არ იყო არანაირი სტანდარტი და შესაბამისად, მთელი რიგი ღონისძიებებია განსახორციელებელი. ამ მიმართულებით თბილისის მერიამ უკვე მოიპოვა დაფინანსება და მომავალი წლის დასაწყისში გამოცხადდება უშუალოდ სამშენებლო ტენდერი ლიჩეტის სისტემის მოსაწესრიგებლად; გრძელდება მუშაობა გაზშემკრების პროექტზე, რომელიც ტექნიკური კუთხით ძალიან კომპლექსური საკითხია და სავარაუდოდ, 2024 წლის ბოლოს უკვე გვექნება პროექტი, რათა გამოცხადდეს ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე; ასევე, გრძელდება მუშაობა

იმისთვის, რომ გამოცხადდეს სამშენებლო ტენდერი სორტირების ხაზთან დაკავშირებით, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ დედაქალაქში დავიწყოთ სეპარირება. ეს საკითხი შესწავლილია ექსპერტების მიერ და ამ მიმართულებით თბილისის მერია სრულ მზადყოფნაშია, თუმცა, სეპარირება-ნარჩენების მართვა არის გლობალური საკითხი და აქედან გამომდინარე, გრძელდება გარკვეული კონსულტაციები ცენტრალურ მთავრობასთან იმაზე, თუ როდიდან დაიწყება კონკრეტულად სეპარირების პროექტი; ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნიკური ბაზა, თუმცა, კვლავ გრძელდება ამ კუთხით მუშაობა და მომავალ წელს კიდევ შემოვა ტექნიკა და კიდევ უფრო გაუმჯობესდება სიტუაცია ადგილზე.

ირაკლი ბენდელიანმა მიმართა საბა ბუაძეს: „ბოლო რამდენიმე თვეა, ტელევიზიით ვნახე, რომ ჩემს სახელსა და გვარს ახსენებ ხშირად. მინდა გითხრა, რომ ერთადერთი მიზეზი მანდ გაქვს ის, რომ იმ კომპანიის მიერ აშენებულ კორპუსში, რომელიც მანდ კორპუსს აშენებს, დაახლოებით 10 წლის წინ, მაქვს ბინა ნაყიდი, როდესაც არც იმ კორპუსის მშენებლობა იყო დაწყებული და არც მერიაში ვმუშაობდი. თუმცა, მერიაშიც რომ მემუშავა, მაგის პრობლემას მე ვერ ვხედავ. თქვენ რა დოკუმენტიც ეხლა გიჭირავთ ხელში, ეგ არის უკვე რეგისტრაციის თარიღი, მას შემდეგ, რაც კორპუსი აშენდა, განშლა გაკეთდა და ფიზიკურად შესაძლებელი იყო საჯარო რეესტრში მაგ ბინის დარეგისტრირება. ცოტა უფრო მეტ დროს თუ დაუთმობ ჩემს დეკლარაციას, იქ ატვირთულ სასესხო ხელშეკრულებებს, შემოსავლებს და ა.შ., უფრო ნაკლები სურვილი გაგიჩნდება, რომ მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანო. 175 დოლარად არ არის ნაყიდი და გადარიცხვის ქვითრებიც შემიძლია წარმოგიდგინო, თარიღებით და ოდენობით, მაგრამ ახლა, მგონი, აქ მაგის ადგილი არ არის“.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მომდევნო წლის განმავლობაში მოხდება ბიუჯეტის ზრდა და იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გამგეობების გაძლიერება, მიმართა თბილისის მერს, რომ ისტორიულ-კულტურული არეალების რეაბილიტაციის მიზნით, კ2 კოეფიციენტის გადაჭარბების გასხვისებისას, იმსჯელონ იმაზე, რომ დაახლოებით 20-30% დარჩეს იმ ადმინისტრაციულ საზღვრებში, სადაც მოხდება გადამეტება, რადგან აღნიშნული გარკვეულწილად პირდაპირკავშირში იქნება იქ არსებული არეალის გასაუმჯობესებელი სამუშაოების ჩატარებასთან, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად გააძლირებს გამგეობების ბიუჯეტს. აქვე აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების ნაწილში, სადაც კერძო სექტორია, დადგენილია მშენებლობის და სარეაბილიტაციო ტარიფები და კარგი იქნება ვიმსჯელოთ იმაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ არის ლევან სამხარაულის სასამართლო ესპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებები, დასაშვები იყოს გარკვეული აცდენა, რათა ამან კიდევ უფრო გააუმჯობესოს საინვესტიციო პროექტების შეკვრის შესაძლებლობა.

გიორგი ონიანმა კითხვის დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ კახა კალაძის სიტყვებით, თბილისში არსებული საცობები გამოწვეულია, მათ შორის, იმით, რომ ქალაქში გადაადგილდება 650000 ავტომობილი და მისთვის გასაგებია ისიც, რომ თუკი რაიმე კრიტერიუმებით ამ ავტომობილების შემცირებას თბილისის მერია შეძლებს, ეს იქნება მტკივნეული რეფორმა. მაგრამ, მისი თქმით, უნდა წავიდეთ იმ სიტყვების იქით, რომ ქალაქში მოძრაობს 650000 მანქანა, იზიარებს იმ აზრს, რომ ამ მანქანების რაოდენობა წელ-წელა შემცირდეს და დაინტერესდა, როგორ უყურებს ამ საკითხს ქალაქის მერი და თვლის თუ არა ამას საჭიროდ.

კახა კალაძემ უპასუხა გიორგი ონიანის შეკითხვას და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით რაც გაკეთდება, პირველი არის ის, რომ გამკაცრდება ტექდათვალიერება, რაზეც თბილისის მერიას ეკონომიკის სამინისტროსთან ჰქონდა კონსულტაციები. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქალაქში მოძრავი ავტომობილების დიდი რაოდენობა არის ძალიან ძველი და გამკაცრებული ტექდათვალიერების პირობებში, სამწუხაროდ, ბევრი ავტომობილი ვერ დააკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს. ამასთანავე, არის კიდევ გარკვეული იდეა, რომელიც დამუშავების პროცესშია და ამიტომ მასზე წინასწარ საუბარი არ სურს, თუმცა, არაფერი მოგონილი სიახლე არ იქნება, იქნება ის, რაც გაკეთებულია სხვადასხვა ევროპულ ქალაქებში

და თუ შესაძლებელი იქნება მისი განხორციელება თბილისში, უფრო ვრცლად ისაუბრებს იანვარ-თებერვალში. აქვე აღნიშნა, რომ თუ ვინმეს აქვს რაიმე იდეა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ამ 650000 ავტომობილის რაოდენობის შემცირება, სიამოვნებით მოისმენს და გაიზიარებს.

მამუკა გუგეშაშვილმა აღნიშნა, რომ საცობების შემცირების მიზნით, მაგალითად ლონდონში, პიკის საათებში, აკრძალული იყო დიდგაბარიტიანი მანქანების გადაადგილება, რაც შეიძლება მოხდეს თბილისის შემთხვევაშიც და ასევე, შესაძლებელია, რომ კენტ და ლუწნომრიან ავტობილებს კონკრეტულ საათებში შეეზღუდოს გადაადგილება.

კახა კალაძემ განმარტა, რომ კენტ და ლუწნომრიანი ავტობილებისთვის გადაადგილების შეზღუდვაზე თბილისის მერიას ნაფიქრი და ნამუშევარი აქვს, თუმცა, ამას აქვს ძალიან სერიოზული მინუსები, რაზეც უფრო დეტალურად ისაუბრებს ირაკლი ხმალაძე, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა აქვთ გაკეთებული ლონდონს, პარიზს, მილანს და სხვა ევროპულ ქალაქებს, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ამაზე ვიმსჯელოთ - ეს არის კონკრეტული ქუჩების გაფასიანება, რამაც სერიოზული შვება მისცა ცენტრალურ ქუჩებს, მაგრამ ეს ძალიან მტკივნეული იქნება თბილისის მოსახლეობისთვის. აქვე აღნიშნა, რომ ხშირად არის იმაზე საუბარი, რომ უნდა გაკეთდეს ესტაკადები და ახალი გადასასვლელი ხიდები, რაც ქალაქს არაფერს მისცემს საცობების განტვირთვის თვალსაზრისით და პირიქით, კიდევ უფრო წამახალისებელი იქნება, რაც უფრო მეტ პრობლემას შექმნის და არაფერს სასარგებლოს არ მოიტანს გრძელვადიან პერსპექტივაში. აქედან გამომდინარე, იმას, რაც დღეს დაწყებულია თბილისში სატრასპორტო პოლიტიკის მიმართულებით, ალტერნატივა არ აქვს.

ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ მივიღოთ უკეთესი შედეგი, საჭიროა დამატებითი ინსტრუმენტების გამოყენება, თუმცა, ავტომობილების შემცირებამდე მოწესრიგებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. თბილისის მერია ამ კუთხითაც თანმიმდევრულია და სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში პირველ ეტაპზე გადმოწეულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოწესრიგება. ლონდონის მაგალითზე რომ ვისაუბროთ, იქ არსებობს ფასიანი ზონები, რაც აამოქმედეს 2003 წლის თებერვალში და მიუხედავად იმისა, რომ საფასური არც თუ ისე მაღალი იყო, 33%-იანი კლება ჰქონდა ლონდონის ცენტრს ერთ თვეში. ზოგადად, მანქანების რაოდენობას არ ამცირებს ახალი ესტაკადების და საპარკინგე ადგილების მოწყობა და არც გზების გაგანიერება, ამას აკეთებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება, საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ალტერნატიული ტრანსპორტის განვითარება და ამის შემდეგ დამატებითი ღონისძიებების გატარება. რაც შეეხება სატვირთო ავტომობილებისთვის დღის გარვეულ მონაკვეთში გადაადგილების შეზღუდვას, აღნიშნა, რომ პარლამენტმა უკვე მიიღო თბილისის მერიის ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი, რომლითაც მუნიციპალიტეტს მიანიჭა უფლებამოსილება, დაარეგულიროს დიდგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვა და აღნიშნულთან დაკავშირებით მერიას უკვე მზად აქვს ცვლილებების პროექტი, რომელსაც უახლოეს მომავალში წარუდგენს საკრებულოს. ასევე, წარმოდგენილი იქნება ცვლილებები იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ავტობუსებმა და მიკროავტობუსებმა შეძლონ „ბასლაინით" სარგებლობა, რაც ერთგვარად ემსახურება იმას, რომ მოხდეს მანქანების მოხმარების შემცირება, რადგან უფრო ნაკლები მშობელი დაიტვირთება ბავშვის სკოლაში წაყვანა-წამოყვანით. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ სატრანსპორტო მიმართულებით არის ძალიან ბევრი პრობლემა და თბილისის მერია მზად არის საკრებულოს წევრებთან ერთად, უფრო ფართო ფორმატში იმსჯელოს მათი გადაჭრის გზებზე.

საკრებულოს წევრებმა, თბილისის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ოთარ გრიგოლია მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღება, მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, პარლამენტს და პარტია „ქართულ ოცნებას" იმისთვის, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი საქმე გაკეთდა ბოლო წლებში იმისათვის, რომ ჩვენ დღეს ეს წარმატება გვეზეიმა. ოთარ

გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა თბილისელებს იმისთვის, რომ ისინი გაგებით ეკიდებიან და მხარს გვიჭერენ იმ რეფორმების გზაზე, რომელსაც ეხლა გავდივართ. ეს რეფორმები არ არის მარტივი, დაკავშირებულია დიდ დისკომფორტთან და არსებული ჩვევების გადაჩვევასთან, რომლებიც ჩამოგვიყალიბდა წლების განმავლობაში. მან მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს იმისთვის, რომ ის პრინციპულად მიჰყვება დაწყებულ პროცესს და განაცხადა, რომ ნამდვილად არ არის მარტივი, როდესაც ასეთ დროს უსაფუძვლოდ ისმენ შენიშვნებს და კრიტიკას. აღნიშნა, რომ 2017 წელს, როდესაც გახდა საკრებულოს წევრი, თბილისის ბიუჯეტი იყო 800000000 ლარი, რაც არათუ ახალი პროექტების განხორციელებას, არამედ მიმდინარე ხარჯებსაც არ ჰყოფნიდა, ხოლო დღეს ვსაუბრობთ 1800000000 ლარზე, ათობით განხორციელებულ პროექტზე, რომლებსაც, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, არავინ ელოდებოდა. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ 2024 წელი იქნება წარმატებული იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტი რეკორდულია, მისი ძირითადი ნაწილი არის დამოუკიდებელი შემოსავლები და ქალაქი დამოკიდებული არ არის მხოლოდ გრანტებზე. ამ ექვსი წლის განმავლობაში, მივიღეთ აბსოლუტურად სხვანაირი, მოწესრიგებული და უფრო მწვანე ქალაქი, რომელსაც აქვს გენ.გეგმა, გეზი და იცის სად უნდა მივიდეს საბოლოო ჯამში. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ჩვენი მტრების, ოპონენტების და ცრუ მეგობრების შეფასებების და განზრახვების მიუხედავად, რომ ქვეყანაში ჩამოიშლებოდა ეკონომიკა, ოყო 10%-იანი ეკონომიკური ზრდა, როდესაც ვიღაცებს ეგონათ, რომ ქვეყანაში იქნებოდა ომი, გვაქვს მშვიდობა და როდესაც არავის სჯეროდა, რომ ქვეყანა მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, დღეს ყველანი ვზეიმობთ ამ სტატუსს და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „სამწუხაროდ, თქვენ ამ ზეიმის თანამონაწილეები ვერ ხართ და არ ხართ პირნათელი ხალხთან... მოგიწოდებთ კიდევ ერთხელ - ყველას მიღწევაა ეს, ყველას გამარჯვებაა და დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ და ზეგ თქვენ ისარგებლებთ ამ სიკეთით, რომელ სიკეთესაც დღეს ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია."

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ დასმულ კითხვებზე პასუხები არაფრისმომცემი იყო და დღეს დარწმუნდა, რატომ დაამთხვია ქალაქის მერმა ყოველწლიური ანგარიში ეროვნულ დღესასწაულს. ისევე, როგორც წინა წელს, ვერც წელს მიიღო პასუხი ვერცერთ კითხვაზე და ისევე, როგორც ცხოველების შესახებ კანონპროექტი მზადდება წელიწადნახევარია, პიროტექნიკის შესახებაც კანონი უკვე ერთი წელია პარლამენტშია, თუმცა, რეალურად შედეგი ვერ დადგა. აქვე, აღნიშნა, რომ თბილისის მერმა თავი აარიდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვას და მიმართა მას: „თქვენი „აქილევსის ქუსლი" სწორედ ვაკის პარკის ტრაგედიაა და ზოგადად, რეკრეაციულ სივრცეებში უსაფრთხოება იმიტომ, რომ მსხვერპლად შესწირეთ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი, მაგრამ, რეალურად, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავიდან იცილებთ ვაკის პარკთან დაკავშირებით". აქვე, გამოეხმაურა თბილისის მერის კომენტარს სასკოლო კვებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მან ისაუბრა საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში დაინიცირებულ წინადადებებზე და არ სჭირდებოდა მითითება, რომ აღნიშნული განათლების სამინისტროს კომპეტენციაა. ნინო წულაძემ განაცხადა, რომ 10-15 კითხვა დაისვა საცობებთან დაკავშირებით და პასუხი, გარდა იმისა, რომ ავტომანქანების გამოყენება უნდა შევზღუდოთ და მუნიციპალური ტრანსპორტი განვავითაროთ, არ გვაქვს და კიდევ ერთხელ მიმართა კახა კალაძეს: „მე გეტყვით თქვენ რას აკეთებთ - თქვენ გაქვთ ახალი ინიციატივა მოფიქრებული, საპატრულო პოლიციასთან კოორდინაციული თანამშრომლობით და გინდათ, რომ ეს ინიციატივა წამოწიოთ რამენაირად, რომ მოხდეს ვიდეომონტაჟი. შესაბამისად, საცობების ერთადერთ გამოწვევად და ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად ავარიულ შემთხვევებს ასახელებთ იმისთვის, რომ შემდეგ შემოიტანოთ ეს ინიციატივა და თქვათ, რომ „აი, ჩვენ ვმუშაობთ საცობების მიმართულებით". ძალიან სასაცილოა, როდესაც საუბრობთ ეკოლოგიაზე მაშინ, როდესაც ნინო წილოსანის, ნოშიკო ნამორაძის და თქვენი მეგობარი ბიზნეს-სუბიექტების ცათამბჯენების პროექტები თქვენივე თაოსნობით შემოდის საკრებულოში და თქვენივე გუნდი ამტკიცებს. რეალურად, არ უკვირდებით არც კულტურულ მემკვიდრეობას, არც კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონას, არც გადაჭარბებულ

სიმაღლის კოეფიციენტს, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკოლოგიაზე და ტრანსპორტზე". საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ თბილისის მოსახლეობისთვის საცობები იმიტომ არის და იქნება მნიშვნელოვანი, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა ვერ მიდის ძალიან ბევრ ადამიანამდე, ასევე, დროულად ვერ მიდის სახანძრო მანქანა დანიშნულების ადგილზე და შესაბამისად, ეს ის კი არ არის, რომ ადამიანებს საცობებში დგომა უბრალოდ მობეზრებული აქვთ, არამედ, ეს გადის მათ ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე და აქედან გამომდინარე, თბილისის მერიამ თუნდაც ერთი ისეთი წინადადება უნდა წარმოადგინოს, რაც რეალურად განტვირთავს ქალაქში საცობების მიმართულებით არსებულ „წარმოუდგენელ, გაყინულ" მდგომარეობას.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ სატრანსპორტო მიმართულებით მივდივართ ევროპული დირექტივების შესაბამისად, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წელს და რომლის შესაბამისად გაწერილი გვაქვს გეგმა-გრაფიკი. ტრანსპორტის დარგის შეფასება უნდა მოხდეს დინამიკაში და ვნახოთ პროცესი, სად ვიყავით და სად ვართ. თუ გავითვალისწინებთ 2017 წლიდან დღემდე პერიოდს და ამ პერიოდში პანდემიის გამო დაკარგულ ორ წელს, მართლაც ბევრი რამ არის გაკეთებული მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო სისტემაში დაიწყო ქაოსი და ეს იყო 1990-იან წლებში, როდესაც დედაქალაქში გავიარეთ „იკარუსების" და 5500 მიკროავტობუსის პერიოდი. 2017 წელს, ჩვენი თანამოქალაქეების პირდაპირი დაკვეთა იყო, რომ ამ სფეროში გაგვეხორციელებინა რეფორმა, რომელიც მიმდინარეობს ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად. თბილისი იყო ავტომობილების დედაქალაქი, ხოლო ახლა ვართ იმ პროცესში, როდესაც ქალაქს ვუბრუნებთ ადამიანებს, რაც შეუძლებელია ქვეითებისთვის განკუთვნილი სივრცეების, ველობილიკების და „ბასლაინების" მოწყობის გარეშე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვიმყოფებით „მოვლენების შუაგულში", რაც ნამდვილად მტკივნეული პერიოდია, თუმცა სწორი გზაა და დარწმუნებულია, რომ ჩვენ ამას დავძლევთ და მომავალ წელს, გაცილებით უკეთეს თემებზე იქნება საუბარი.

ნინო ვარდოსანიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს, როგორც განხორციელებულ საქმიანობისთვის, ასევე, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით საჭირო და დეტალური ინფორმაციისთვის. სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, რაც, მისი თქმით, დამსახურებული გადაწყვეტილებაა ჩვენი ქვეყნისთვის და მოქალაქეებისთვის, რომლებიც ნამდვილად ირჩევენ დასავლურ პრინციპებს და განვითარებას. აღნიშნა, რომ 2022 წლის ბოლოს, საუბარი იყო იმაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო 2023 წელს და სასიხარულოა, რომ დაგეგმილი პროექტების თუ ინიციატივების უმეტესობა განხორციელებულია, ხოლო ნაწილი განხორციელების პროცესშია. აქვე აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ, იმედი გამოთქვა, რომ „მზიურის" შემოერთებული ნაწილი მალე იქცეოდა მწვანე ზონად, რაც ძალიან სჭირდება და უხდება თბილისს, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიხსნა და დღეს, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დასასვენებელი სივრცეა ქალაქში. ზოგადად, გამწვანება, სკვერებისა და პარკების მოწყობა, საბავშვო სივრცეების მოწესრიგება არის ძალიან მნიშვნელოვანი და, რა თქმა უნდა, მომავალშიც უნდა იყოს პრიორიტეტული. მნიშვნელოვანია, ასევე, მათი შემდგომი მოვლა-პატრონობა, რაც ასევე, ყველას პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა და იმედია, ჩვენი თანამოქალქეები პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ამ საკითხს. გასულ წელს, ასევე, საუბარი იყო ტრანსპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ავტობუსების დამატების საჭიროებაზე და კარგი სიახლეა, რომ თბილისს ეყოლება 18 მეტრიანი ავტობუსები, რაც უზრუნველყოფს მეტი მგზავრის გადაადგილებას. აქვე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლიდან კიდევ უფრო მეტად ხელშესახები შედეგები გვექნება. მნიშვნელოვანია ასევე, მეტროსადგურების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც, საუბარი იყო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები, რითიც მოხდება მეტროს ძველი ვაგონების ჩანაცვლება, რაც მისასალმებელია, რადგან ეს გადაწყვეტილება გულისხმობს მოქალაქეების უფრო სწრაფ და კომფორტულ გადაადგილებას. ისაუბრა ჯანდაცვისა და სოციალურ მიმართულებებზე და განაცხადა, რომ ამ კუთხით ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებიდან ნაწილი არის ახალი, ხოლო რიგ მათგანზე მოხდა ბენეფიციარების

რაოდენობის ზრდა, რაც არის მოქალაქეებზე ზრუნვის გამოხატულება და მაგალითი, რაც უკვე რამდენიმე წელია თბილისის მერიის და საკრებულოს გაცხადებული პოლიტიკაა და მუნიციპალიტეტი გაიღებს თანხებს მანამ, სანამ ჩვენს მოსახლეობას ექნება ამის საჭიროება. ასევე, ისაუბრა სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე და განაცხადა, რომ დაგეგმილია რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია, მიმდინარეობს და მალე დასრულდება წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია და ყველამ ვიცით, რომ ამგვარი პროექტების სირთულეც და სიკეთეც არის ის, რომ სრულად ხორციელდება მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდება ასეთი პროექტების განხოციელება. ასევე, მნიშვნელოვანია, ისიც, რომ დიდი გამზირების გარდა, ყურადღება უნდა დაეთმოს შიდა გზებს და ყველა რაიონს შეეხოს განახლება და განვითარება. ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ ბოლო წლებში, ძალიან ლამაზია თბილისი საახალწლოდ და დარწმუნებულია, რომ წელსაც გამორჩეულად ლამაზი იქნება დედაქალაქი, რაც ყველას მოსწონს და ახალისებს. მან ყველა ბავშვს უსურვა ბედნიერი ახალი წელი და ბედნიერი ცხოვრება, რასაც, მისი თქმით, სხვადასხვა მხრივ სჭირდება მხარდაჭერა და უზრუნველყოფა. საუბრის ბოლოს, თბილისის მერს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა ჩვენი ქალაქის საკეთილდღეო საქმიანობაში.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ პასუხები ვერ მიიღო კითხვებზე: რატომ ვერ მოხერხდა მოსაცდელების მოწყობა ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე; კონსტრუქციული წინადადებების შემთხვევაში, რატომ არ და ვერ ხერხდება კომუნიკაცია თბილისის მთავრობის წევრებთან; რატომ ვერ მოხერხდა „ბასლაინის“ დახაზვა გლდანის რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი სხვა პროექტი არ მიმდინარეობს, რაც ხელს შეუშლიდა ამის გაკეთებას. აქვე აღნიშნა, რომ „თბილისი მოლში“ მიმავალი მოსახლეობა თავს იყრის მეტრო ახმეტელთან და შესაბამისად, გაუსაძლისი მდგომარეობაა N292 სამარშრუტო ხაზის ავტობუსში და კარგი იქნება, ამ მიმართულებით ავტობუსის დამატება. მიხეილ კაკაურიძემ ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს ქალაქის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ორიენტირებული და სამწუხაროდ, დღეს წარმოდგენილი პროექტი, მისი გადასახედიდან, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რისი მარტივი მაჩვენებელი არის იმ არაფინანსური აქტივების ცვლილება, რომელიც გვაქვს ბიუჯეტში - 1760000000 ლარიან ბიუჯეტში მხოლოდ 235000000 ლარიანი ცვლილება გვაქვს. არსებული პარამეტრები რომ შევადაროთ 2023 წლის ბიუჯეტს, სამწუხაროდ, გვექნება ისეთი სურათი, რომ დავრწმუნდებით მის არამიზნობრიობაში და იმაში, რომ შეუძლებელია ამ პარამეტრებით ვუპასუხოთ დღევანდელ გამოწვევებს. წარმოდგენილი ბიუჯეტით არაფინანსური აქტივების ზრდა ხდება მხოლოდ 17%-ით, ხოლო დანარჩენი მიმართულია სოციალური ხასიათის დაფინანსებებზე და სახელფასო ანაზღაურებებზე და აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, 2024 წელს და ყოველ მომდევნო წელს, კიდევ უფრო გაუარესდება ქალაქში გამოწვევების კუთხით არსებული მდგომარეობა.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, საკრებულოს სხდომებზე, ძალიან ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც „უცერემონიოდ“ იცვლება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ისე, რომ ამ ცვლილებებში დაკარგულია საჯარო ინტერესები და ვხედავთ კერძო ინტერესებზე მორგებულ ინტერესებს.

კახა კალაძემ ანა გოგოლაძის მიერ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარზე განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ვალდებულება იგივე ზონირება დაუბრუნოს ან გამოისყიდოს ის ნაკვეთები, რომლებსაც ახალი გენ.გეგმით გაუუარესდა სტატუსი, რათა დაცული იყოს კერძო მესაკუთრეების ინტერესი და ვერავინ დაასახელებს ისეთ პროექტს, რომელიც ეწინააღმდეგება ქალაქის განაშენიანებას და ურბანულ განვითარებას.

ანა გოგოლაძემ განაგრძო გამოსვლა და აღნიშნა, რომ არავის არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს უბრუნდება ძველი სტატუსი, საუბარია სხვა მიზეზით სტატუსის ცვლილებაზე და წამდვილად არ არის

მისასალმებელი, როდესაც საკრებულოს ყოველ სხდომაზე გენ.გეგმაში შედის ათეულობით ცვლილება და გენ.გეგმა არ გვეუბნებოდა იმას, რომ მდინარე ვერეს ხეობა უნდა „ჩაგვებეტონებინა“, ხოლო „ბრაუნფილდებზე“ რეკომენდაცია იყო მიცემული, რომ განაშენიანებულიყო რეკრეაციული ზონები და არა დაგვემტკიცებინა წილოსანის პროექტი.

ირაკლი ხმალაძემ „ბრაუნფილდებთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ გენ.გეგმის რეკომენდაციით, უნდა მოხდეს ტერიტორიის ათვისება და განაშენიანება, მეტი სიმწვანის შენარჩუნების პირობით.

ანა გოგოლაძემ განაგრძო გამოსვლა და განაცხადა, რომ წილოსანის პროექტი დამტკიცდა ისე, რომ იქ დაწყებულიც არ იყო გამწვანება და ყველასთვის, მათ შორის, მოსახლეობისთვისაც ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში პრიორიტეტული გადაწყვეტილება იყო წილოსანის პროექტის დამტკიცება. ცირკის მიმდებარე ტერიტორიაც ისტორიული ნაწილია, თუმცა, იქ „წამოიჭიმება“ ენუქიძის ცათამბჯენი მაშინ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ გენ.გეგმის მიხედვით არსებული კოეფიციენტები არ ითვალისწინებდა ამ ტერიტორიებზე 170 მეტრიანი ცათამბჯენების მშენებლობას. ანა გოგოლაძემ აქვე აღნიშნა, რომ, როდესაც საუბრობდა იმაზე, რომ მოსახლეობას არ ჰკითხეს აზრი კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით, მხედველობაში ჰქონდა არა ის, რომ მოსახლეობისთვის ეკითხათ იქ უნდოდათ თუ არა იმ კორპუსის მშენებლობა, არამედ ის, რომ ხალხს აინტერესებდა თბილისის მერის პოზიცია, რომელიც, იმ დღეების განმავლობაში, საერთოდ არ გამოჩენილა მედიასთან და არ დაარწმუნა მოსახლეობა ამ პროექტის სარგებლიანობაში. ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ პასუხი არ მიუღია კითხვაზე, თუ როდის ამოისუნთქებდა მოსახლეობა და ღირსების შელახვის გარეშე იმგზავრებდა მუნიციპალური ტრანსპორტით.

კახა კალაძემ უპასუხა ანა გოგოლაძის შეკითხვას და აღნიშნა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტით თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა იქნება მაშინ, როდესაც შეივსება საავტობუსე პარკი, ჩამოვა 18 მეტრიანი ავტობუსები და ქალაქში დასრულებული იქნება ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც გრძელვადიანი პროცესია.

ირაკლი ხმალაძემ ანა გოგოლაძის შეკითხვაზე პასუხის დაზუსტების მიზნით, აღნიშნა, რომ კონკრეტული თარიღის დასახელება შეუძლებელია, რადგან სატრანსპორტო სექტორში მოთხოვნა არ არის ფიქსირებული და ერთ კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული, ყოველწლიურად იცვლება მოთხოვნა, საჭიროება და სტანდარტი. მუნიციპალიტეტი ოთხი წლის წინ თუ იდგა იმ გამოწვევის წინაშე, რომ ჩანაცვლებულიყო ყვითელი ავტობუსები, დღეს აღნიშნული აღარ არის დღის წესრიგში და საუბარია სხვა რამეზე. შესაბამისად, კითხვა, თუ როდის ამოისუნთქებს მოსახლეობა, არის ზოგადი.

ანა გოგოლაძემ განაგრძო გამოსვლა და აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქვს დასრულების ვადა და შესაბამისად, შესაძლებელია მოსახლეობას ვუთხრათ, თუ რა შედეგი გვექნება კონკრეტულ წელს. ისაუბრა შშმ პირების შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის ინიაციატივაზე, განაცხადა, რომ მოხარულია, რომ თბილისის მერი იზიარებს მის წინადადებას და ამ მიმართულებით გადაიდგმება ნაბიჯი და მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობს აღნიშნული განხორციელებული იქნება არა როგორც ოპოზიციის, არამედ როგორც თბილისის მერიის ინიციატივა, საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რადგან მისთვის მთავარია ამ ქალაქში და ქვეყანაში გაკეთდეს საქმე.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგები ხშირად აპელირებენ ორ თემაზე: საცობები და მშენებლობა, თუმცა, თუ ჩავუღრმავდებით, ორივე უკავშირდება ქალაქის განვითარებას. აღნიშნა, რომ ნამდვილად არის მშენებლობები, რადგან ამ მიმართულებით არის ძალიან დიდი მოთხოვნა და ფიქრობს, რომ ქალაქის ადმინისტრაცია სწორად მართავს ამ პროცესს. ისაუბრა ოპოზიციონერი კოლეგების მიერ ხსენებულ გრგ-ებზე და განაცხადა, რომ კარგად ახსოვს, როდესაც საუბარი იყო დიდი დიღმის გრგ-ზე, რომლის წინააღმდეგნიც იყვნენ, მას შემდეგ, რაც პროექტში კარგად ჩაიხედეს და ნახეს, რომ იქ იქნება ძალიან დიდი რეკრეაციული სივრცე და მივიღებთ ერთ-ერთ საუკეთესო განაშენიანებას, მათგანაც აღარ

ყოფილა არგუმენტები და განაცხადა, რომ ასეთ თემებზე აპელირება კარგად ჟღერს და პოპულისტურად შეიძლება ვიღაცისთვის მომგებიანი იყოს. აქვე განაცხადა, რომ გმირთა მოედანზე დღეს არსებული 11 სართულიანი კორპუსის მშენებლობის დროს, რომელიც მაშინდელ თბილისში იყო ყველაზე მაღალი შენობა, რომ ყოფილიყვნენ დღევანდელი ოპოზიციონერი კოლეგები, ამ მშენებლობას კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარებდნენ, თუმცა, დღეს ის არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და თბილისის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი შენობა. მისთვის გაუგებარია, რატომ არის ასეთი პროტესტი მაღლივ შენობებთან დაკავშირებით, რადგან მას ურჩევნია, მიწა გამოყენებული იყოს რაც შეიძლება რაციონალურად - რაც შეიძლება მეტი სივრცე დარჩეს რეკრეაციას და სხვა დანიშნულებას და იყოს მაღლივი კორპუსი. ამ თვალსაზრისით, ქალაქი ვითარდება და ვერცერთი ქალაქი ვერ იქნება ისეთი, როგორიც იყო XVI და XIX საუკუნეებში ან, თუნდაც, XX საუკუნის შუა წლებში და განვითარებას უნდა შევეგუოთ. ასევე, ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ფიქრობს, ყველაზე სწორი რეფორმაა, რასაც დღევანდელი ხელისუფლება აკეთებს და ამ თამამი გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნათელი მაგალითი არის ჭავჭავაძის გამზირი, რასაც ალტერნატივა არ აქვს და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ოპოზიციონერი კოლეგების ნაწილი ამას აღიარებს. მთავარია, თამამად ვიაროთ ამ მიმართულებით, არ შეგვეშინდეს არაპოპულარული ნაბიჯების და ბოლომდე მივიყვანოთ გასაკეთებელი საქმე, რადგან ამ ქალაქში ამის ალტერნატივა არ არსებობს. შეეხო ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამას, რაც მისი თქმით, „ისტორიული გადაწყვეტილება“ იყო, რადგან გაჩნდა შესაძლებლობა, თუ როგორ უნდა ჩანაცვლდეს ავარიული კორპუსი. დღეს ამ პროგრამით სარგებლობს უამრავი ადამიანი და მასში მონაწილეობა დამოკიდებულია მოსახლეობის აქტიურობაზე. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ თბილისის ისტორიაში არასდროს გაკეთებულა ის, რაც ბოლო წლების განმავლობაში გაკეთდა ახალი რეკრეაციული სივრცეების მოწყობისა და ძველი სივრცეების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რამაც, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, მხოლოდ ის კი არ გამოიწვია, რომ გაუმჯობესდა ამა თუ იმ უბანში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხი, არამედ, ასევე, რადიკალურად შეიცვალა კრიმინოგენული მდგომარეობა და იქიდან გამომდინარე, რომ სადაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ყენდება კამერები, კონკრეტულ ლოკაციებზე დანაშაულის რიცხვი დაახლოებით 10-ჯერ არის შეცირებული და რაც ასევე მნიშვნელოვანია, საგრძნობლად მომატებულია დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. საუბრის ბოლოს, თბილისის მერს და მერიის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ბოლო წლებში სამგორის რაიონში განხორციელებული პროექტების გამო, აღნიშნა, რომ რაიონის ბიუჯეტი 2017 წელთან შედარებით, ორჯერ არის გაზრდილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბევრი ქუჩაა მოსაწესრიგებელი და თხოვნით მიმართა მერიის წარმომადგენლებს, აღნიშნული, შემლებისდაგვარად, გათვალისწინებული იქნას ბიუჯეტის კორექტირებისას.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ მერის გამოსვლაში იყო საკითხები, სადაც იყო თანხვედრა, მათ შორის, ეთანხმება გრძელვადიან პერსპექტივაში სატრანსპორტო პოლიტიკას, თუმცა, საუბარი არ ყოფილა იმ რადიკალურ ნაბიჯებზე, რომლებიც ხვალ და ზეგ ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს ქალაქს. ითქვა, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები წარმოდგენილი იქნება თებერვალში და ნამდვილად საინტერესო იქნება იმის მოსმენა, თუ როგორ ვაპირებთ გავუმკლავდეთ ამ პრობლემას. გარდა ამისა, წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ვსაუბრობთ მიუსაფარი ცხოველების პრობლემასთან დაკავშირებით და რომ კანონპროექტი შევა ძალაში, რომელიც მოაწესრიგებს ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას, თუმცა, ამ ეტაპზე, ეს საკითხიც რჩება ღიად, რაც, სამწუხაროდ, ცუდია. აღნიშნა, რომ თბილისის მერის სიტყვებით მომატებულია სტერილიზაცია, თუმცა, გაზრდილია მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა და გამოთქვა მოსაზრება, რომ სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს საზოგადოებაში იმ განცდას, რომ შემცირებულია ცხოველების სტერილიზაცია და გვაქვს ის რეალობა, რომ პრობლემა არ გვარდება და არ იკლებს მიუსაფარი ცხოველების რიცხვი. ასევე, მერის სტანდარტს არ შეესაბამებოდა უფასო სასადილოების 1.70 ლარიან დაფინანსებაზე გაცემული პასუხი, რომ 2017 წელს ამ მიმართულებით გამოყოფილი იყო 1.18 ლარი, რადგან იმ

დროსაც დაცინვა იყო ის თანხა და ეხლაც დაცინვაა დღეს არსებული დაფინანსება და შედარება არ უნდა გააკეთოს იმასთან, რაც მასაც არ მოსწონდა. საუბრის ბოლოს, გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, დღეს, მათ შორის, ქალაქის მერისგანაც მოვისმინეთ, რომ თითქოს ვიღაცას არ უხარია კანდიდატის სტატუსის მიღება და განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს არასდროს წამოსცდენიათ სიტყვები - „თუ არ მოსწონთ, თავისთვის დაიტოვონ", მაგრამ კარგია, რომ ევროპარლამენტარებმა დაუჯერეს არა თბილისის მერის, არამედ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ნათქვამს და მოგვცეს სტატუსი, რასაც კიდევ ერთხელ ულოცავს ყველას და ისურვა, რომ დღევანდელი მილოცვის იქით, კიდევ უფრო სწრაფად განვითარდეს ამ კუთხით ჩვენი ნაბიჯები და კანდიდატობაზე არ გავჩერდეთ იმდენი წელი, რამდენი წელიც გაჩერებულია თურქეთი, რაც შეიძლება მალე მივიღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსი და ალბათ ამაზე მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთმანეთისთვის იმის დაყვედრება, ვის უფრო მეტად ეკუთვნის ეს სტატუსი.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა თბილისის მერს: „ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით, ზუსტად თქვენი სიტყვების პერიფრაზი გავაკეთე... მხოლოდ თქვენი სიტყვები არ გვახსოვს, „ჩალის ფასი" რომ აქვს ევროკავშირის სტატუსს, ესეც გვახსოვს. ესეც არ მინდოდა მეთქვა, მე აბსოლუტურად ყველას მოგილოცეთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მონიჭება, მათ შორის, წარსულში, ჩვენ ყველას და მომავალში, თუმცა, თქვენი მხრიდან მოხდა დაყოფა, რომ ვიღაცას უნდა, ვიღაცას არა... მათ შორის, თქვენს, ოფისში, ირაკლი კობახიძეს ნამდვილად ჩამოსტიროდა სახე იმ ფოტოებში... შესაბამისად, არ არის საჭირო ეს დაყოფა, ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა არის ის, რომ ერთი წელი გაქვთ დარჩენილი იმისთვის, რომ მიიღოთ ის ცვლილებები, რაც მოგვიტანს ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსს. მე ვფიქრობ, რომ არ გააკეთებთ ამას იმდენად, რამდენადაც ეს ყველაფერი თქვენს პოლიტიკურ ძალაუფლებას შეეხება და შესაბამისად, არანაირი იმედი იმის, რომ თქვენ ამ ცვლილებებს განახორციელებთ, მე არ მაქვს." ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ბიუჯეტზე და განაცხადა, რომ მართალია, უკვე მილიარდები იხარჯება ბიუჯეტიდან, თუმცა, მისი ხარჯეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არის იმდენად, რამდენადაც ვერცერთი ბიუჯეტი, განსაკუთრებით 2020 და 2021 წლების ბიუჯეტები, რომელთა მსგავსად არის დაგეგმილი 2024 წლის ბიუჯეტიც და ვერ პასუხობს თბილისელების გამოწვევებს. როდის ხდება ასე ბიუჯეტის დაგეგმვა? მაშინ, როდესაც ბიუჯეტი მორგებულია პარტიულ ინტერესებს და მაშინ, როდესაც ბიუჯეტში არის კორუფციული ხარჯვითი ნაწილი. თუ არა კორუფცია, ვერ იქნებოდა: რუხაძე-წილოსანის პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე; ე.წ. „ზარალას" პროექტი, ყოფილი საქანელას ქუჩის მიმდებარედ; თბილისის მერის „სიტუაციური მეგობრის" გოჩა ენუქიძის პროექტი აკადემქალაქის ტერიტორიაზე; ნოშრევან ნამორაძის მიერ სპორტული უნივერსიტეტის მიტაცება და იქ ცათამბჯენების მშენებლობა; ვერეს ხეობაში განსაკუთრებული რეგულირების რეკრეაციის ზონის მოხსნა და ნოშრევან ნამორაძისთვის გადაცემა; ლაგუნა ვერეს ტერიტორიაზე ბიძინა ივანიშვილის მშენებლობა; „ვისოლ ჯგუფის" უამრავი პროექტი და, მათ შორის, ახლა უკვე იპოდრომის და ყოფილი საზოგადოებრივი მაუწყებლის ტერიტორიაზე. ასევე, სამშენებლო მოედნად არის გამზადებული ვისკის სახლის მიმდებარე ტერიტორია ვერეს დაღმართზე. საუბრის ბოლოს, მიმართა თბილისის მერს: „თუ იაზრებთ, რომ დედაქალაქის ისტორიულ ნაწილს ამ მასშტაბის და მოცულობის მშენებლობებით რა შედეგი მოჰყვება გრძელვადიან პერსპექტივაში? არ იაზრებთ, არ გინდათ გაიაზროთ და არ იაზრებთ. არცერთ ევროპულ ქალაქში ისტორიულ დედაქალაქს ასე არ ექცევიან, როგორც თქვენ ექცევით, მით უმეტეს, გენერლურ გეგმაში უხეში ჩარევებით. რატომ არის, რომ თქვენი საახლობლოს კერძო ინტერესების დაკმაყოფილების საფუძველზე ხდება, რომ საჯარო ინტერესი გვერდზე იწევს... ბატონო კახი, სლოგანები გიყვართ და მინდა სლოგანი შემოგთავაზოთ - თბილისი ბეტონის და საცობების დედაქალაქი."

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრებს, მთელი წლის მანძილზე, უწევდათ ოპოზიციონერი კოლეგების ბრალდებების მოსმენა და იმის თქმენა, როგორ ეძახდნენ „რუსეთუმეებს", „საშშობლოს მოღალატეებს", „კორუმპირებულებს" და

„გამყიდველებს“. ასევე, მრავლად იყო „პერფორმანსები თუ ბოიკოტები“ და მიმართა მათ: „მაინტერესებს, დღეს რატომ არ იღებთ ხმას იმ თქვენ წვლილთან დაკავშირებით, რომელიც გაქვთ სტატუსთან დაკავშირებით? ხმას რატომ ვერ იღებთ, რა გააკეთეთ ქვეყნისთვის სტატუსის მოსაპოვებლად? იმიტომ ვერ იღებთ, რომ ყველაფერი გააკეთეთ, რომ სტატუსი არ მიგვეღო, გამოიყენეთ ყველა პლატფორმა და ძალიან ხშირად გამოიყენეთ საკრებულოს დარბაზიც. ამასობაში წააგეთ რვა არჩევნები და დაიშალეთ, გადალაგდით, ზოგიერთი აღარ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ძალიან ბევრი რამ მოხდა, მაგრამ მთავარია, რომ დღეს ვზეიმობთ კანდიდატის სტატუსს და წინაპრების ოცნება ავახდინეთ ჩვენი ხელისუფლების პირობებში. მთავარი არის ის, რომ თუკი რომელიმე ქალაქს დღეს აქვს პრეტენზია იყოს ევროპული დედაქალაქი, მათ რიგებში არის თბილისი და დღეს, მთავარი არის ის, რომ მრავალრელიგიური, მულტიკულტურული და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თბილისს აქვს პრეტენზია და ის ნამდვილად არის სიცოცხლით სავსე, ევროპული დედაქალაქი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ, ეს არის ესე.“

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ არ ერიდება იმის თქმა, რომ სატრანსპორტო რეფორმა დაფუძნებულია სწორ კონცეფციაზე და არის სწორი ხედვა და ამას მბობს ყოველდღე, მათ შორის, ხელისუფლების მოწინააღმდეგეებთან და მოქალაქეებთან და იმაში, რაც სწორად კეთდება, მათი მხრიდან ხელისუფლებას აქვს მხარდაჭერა. მაგრამ, როდესაც საუბარია იმაზე, რისი გაკეთება შეიძლება უკეთესად, უნდა ითქვას, რომ თუნდაც სატრანსპორტო მიმართულებით, ბევრი რამ არის, რისი გაკეთებაც შეიძლება უკეთესად - მაგალითად, უფრო დროულად შეიძლებოდა ავტობუსების შემოყვანა; ხელისუფლებამ უარი თქვა შეღავათიან სესხზე და თქვა, რომ ბიუჯეტი დააფინანსებდა ავტობუსების შემოყვანას მაშინ, როდესაც შეიძლებოდა მათი შემოყვანა უფრო მალე; ასევე, თბილისის მერიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ დეპოს არსებობის გარეშე ავტობუსების შემოყვანა იყო შეუძლებელი, თუმცა, აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა; გარდა ამისა, არსებობს არასწორი გადაწყვეტილებები, როგორიცაა, მაგალითად, ტაქსის მოძრაობა „ბასლაინში“ და მიუხედავად იმისა, რომ მისი მხრიდან ამის თქმა არაპოპულარულია და საზოგადოების ნაწილს არ მოსწონს, როდესაც ამას აკრიტიკებს, მაინც ამბობს, რომ ეს არის არასწორი იმ კონცეფციის გათვალისწინებით, რა გადაწყვეტილებაც მიიღო ხელისფლებამ, რადგან აღნიშნული მხოლოდ გაზრდის დაყოვნების დროებს თუ ეს რეფორმა შენარჩუნდება მაშინ, როდესაც სისტემა სრულად ამოქმედდება და უკვე გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ტაქსის ლიცენზიით ბოროტად სარგებლობა. არსებობს ბევრი მიმართულება, მაგალითად, საბაგიროების მიმართულება, სადაც მხოლოდ ერთი, მთაწმინდის საბაგირო ვითარდება და ისიც გაურკვეველ ტემპში მიმდინარეობს მაშინ, როდესაც გენ.გეგმით განსაზღვრულია სხვა საბაგირო კავშირებიც და საფეხმავლო თუ საავტომობილო ხიდები. ასევე, არის ხელისუფლების წლების წინანდლი დანაპირები მიწისზედა მეტროს გაკეთებასთან დაკავშირებით და ამ ჩამონათვალიდან არაფერი გაკეთებულა, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემამ სრულფასოვნად იმუშაოს. აუცილებელია ასევე, უფრო თამამი გადაწყვეტილებების მიღება ველობილიკებთან მიმართებაში, რაშიც მათი გუნდი მხარს უჭერს ხელისუფლებას. მაგრამ როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიცია დაეხმაროს და ამ დროს საკრებულოს 40 ავტომობილი ჰყავს და თბილისის მერიას, არავინ იცის რამდენი, ეს არასწორია, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლები თავად უნდა იყვნენ საზოგადოებისთვის მაგალითის მიმცემები და თავად იყვნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის სათავეში. თუმცა, სამწუხაროდ, საკრებულოს წევრები, მათ შორის, ოპოზიციის წარმომადგენლებიც, რომლებისთვისაც გამოყოფილია ავტომობილები, მისი და ცოტნე კობერიძის გარდა, სარგებლობენ ამ მანქანებით მაშინ, როდესაც უფლებამოსილების განხორციელებას არაფერში სჭირდება მანქანა. სატრანსპორტო რეფორმა არ არის ერთადერთი რამ, რაც კავშირშია სატრანსპორტო სისტემასთან და მასთან უკიდურესად მჭიდრო კავშირშია ასევე, კორუფციული გზით მიღებული ურბანული გადაწყვეტილებები. ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელისუფლებამ მიიღო თუნდაც სანაპიროსთან მიმართებაში, რა თქმა უნდა, ნაკარნახევია კორუფციული ინტერესით, რადგან სატრანსპორტო სისტემით

რომ ხელმძღვანელობდეს, არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას - ივანიშვილის პირად საკუთრებაში რომ არ ყოფილიყო ეს ტერიტორია, ხელისუფლება ამ მასშტაბის განვითარების შესაძლებლობას არ მისცემდა და არც იპოდრომის, ჩვენი უკანასკნელი მწვანე სივრცის, „აოხრების“ შესაძლებლობას მისცემდა მასთან დაკავშირებულ ბიზნეს-ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, მიმართა თბილისის მერიის წარმომადგენლებს: „არ უნდა გიკვირდეთ, როდესაც ისმის კითხვა - რატომ ხდება ეს? ეს ხდება იმიტომ, რომ აქ არსებობს კორუფციული ინტერესი... ამ ურბანულ გენოციდს, რომელსაც თქვენ აწყობთ, აქვს თავისი ლოგიკური ახსნა. ეს ლოგიკური ახსნა არის თქვენი და თქვენს სისტემაში ჩართული ადამიანების კორუფციული ინტერესი. სხვაგვარად ეს ყველაფერი ვერ მოხდებოდა“.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ვერ დაიჯერებს იმ გულწრფელობას, რომელსაც დღეს, ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სთავაზობენ ოპოზიციონერი კოლეგები, რადგან მათ არ და ვერ უნდა გაუვიდეთ ის თვალთმაქცობა, რასაც კადრულობდნენ გასული პერიოდის განმავლობაში და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვის რა უნდოდა - ვის უნდოდა „ღირსებით ევროპისკენ“ და ვის უნდოდა „ასკინკილით სირბილი“. აღნიშნა, რომ გუშინ იყო მართლაც ისტორიული დღე, როდესაც მივიღეთ დამსახურებული კანდიდატის სტატუსი და განაცხადა, რომ არცერთ მმართველს და ხელისუფალს არ გაუკეთებია იმის ნახევარიც კი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში. ეს დიდწილად არის ქართველი ხალხის დამსახურება, თუმცა, ძალიან დიდი შრომაა გაწეული მმართველი გუნდის მხრიდან, ამიტომ, აქაც გაემიჯნება ოპოზიციას და მათთან ერთად ვერ იზეიმებს ამ ძალიან მნიშვნელოვან თარიღს და გადაწყვეტილებას. ირაკლი ხელაძემ ისაუბრა თბილისის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ 2017 წლიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ფინანსური თვალსაზრისით, რაც განაპირობებს ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამების განხორციელებას და ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის არც 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც დატვირთულია კარგი პროექტებით, რა თქმა უნდა, შენარჩუნებულია ისეთი პრიორიტეტები, როგორებიცაა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა-მოწესრიგება; სატრანსპორტო მიმართულებით დაწყებული მნიშვნელოვანი რეფორმის ბოლომდე მიყვანა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება; ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ახალი სკვერების და პარკების მშენებლობა; ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელება, რომლითაც უამრავი მოქალაქე სარგებლობს; განათლების, სპორტის და ახლგაზრდობის მიმართულება; ახალი ბაღების მშენებლობა; მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობა და კიდევ უამრავი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც უკეთესს და უფრო კომფორტულს ხდის დედაქალაქს. 2024 წლის ბიუჯეტი მორგებულია ზუსტად იმ საჭიროებებზე, რაც აწუხებს თბილისს და თბილისელებს. ასეთი სწორი სვლით აუცილებლად გავხდებით ევროპული ქალაქი და ჩვენ ადგილს დავიკავებთ იმ ოჯახში, სადაც ყოველთვის გვეკუთვნოდა ყოფნა.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მისი აზრით, ამ ბიუჯეტს შეიძლება დავარქვათ „კვლავ გაგებით მოეკიდეთ“, რადგან ისევ არაფერი გამოსწორდება არც ტრანსპორტის, არც სისუფთავის და არც უსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნა, რომ დღეს, პარლამენტში პარტია „ქართულმა ოცნებამ“ იკადრა, ის, რომ ევროკავშირის და საქართველოს დროშები დაუდგა მარტო მმართველ პარტიას და არ დაუდგა ოპოზიციას, რაც მისი აზრით, არის „საშინელება და კატასტროფა“ და მიმართა კახა კალაძეს: „როგორც პარტიის გენერალური მდივანი, ასეთ მდგომარეობას ნუ გააკეთებინებთ თქვენი პარტიის წევრებს“.

ლევან არველაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს საინტერესო ანგარიშისთვის და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ისაუბრა იმ რეფორმებსა და მიღწევებზე, რომლებიც 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მათი გუნდის გამარჯვების შემდეგ განხორციელდა და აღნიშნა, რომ 2017 წელს, დედაქალაქის ბიუჯეტი იყო 820000000 ლარი და დღეს ვსაუბრობთ 1760000000 ლარზე. განაცხადა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტში ასახულია ყველა ის ძირითადი

საკითხი და პრობლემა, რომელიც აწუხებს ჩვენს მოქალაქეებს და შენარჩუნებულია პრიორიტეტები, როგორებიცაა: ჯანდაცვა, სოციალური მიმართულება, ინფრასტრუქტურა, გამწვანების ღონისძიებები და დარწმუნებულია, რომ მომდევნო წლებშიც შენარჩუნებული იქნება ზრდის ის მაჩვენებელი, რაც ფიქსირდებოდა ამ წლების განმავლობაში. მისი თქმით, სატრანსპორტო რეფორმა ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც შედგება რამდენიმე კომპონენტისგან და, რაც მთავარია, მისი მიზანია საქალაქო ტრანსპორტის განვითარება და ხელმისაწვდომობა. ამ რეფორმის ფარგლებში სრულად განახლდა საქალაქო ტრანსპორტის პარკი და დღეს, თბილისს ემსახურება 800-ზე მეტი, თანამედროვე, ევროპული ტიპის ავტობუსი, მოდერნიზაცია და კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა მეტროს 170-ზე მეტ ვაგონს და ე.წ. „ყვითელ მარშუტკებს". გამწვანების ღონისძიებების მიმართულებით განხორციელდა ბევრი მასშტაბური პროექტი და თბილისის ყველა რაიონში მოხდა პარკების სრული რეაბილიტაცია, სხვადასხვა მისამართებზე მოეწყო რეკრეაციული სივრცეები და დღეს დედაქალაქი ბევრად უფრო მწვანე ქალაქია, ვიდრე იყო აქამდე. ლევან არველაძემ ასევე, ისაუბრა ქვეყნის საგარო კურსზე და აღნიშნა, რომ მთავრობის მრავალწლიანმა და სწორმა საგარეო პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა ვიზალიბერალიზაცია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და კანდიდატის სტატუსის მინიჭება და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" თორთმეტწლიანი მმართველობის დროს, ჩვენს ქვეყანაში არის მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება, რაც ამ მძიმე პერიოდში, ჩვენი არც თუ ისე შორი მეზობლებისთვის სანატრელი ოცნებაა და დარწმუნებულია, რომ საქართველო „ქართული ოცნების" გუნდის მმართველობის პერიოდში მიაღწევს ბევრ წარმატებას და გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

ცოტნე კობერიძემ მიმართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს: „მინდა რაღაცები გავიხსენოთ, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მოკლე მეხსიერება გვაქვს. დაგვავიწყდა, კანდიდატის სტატუსზე განაცხადი როგორ შეიტანა ხელისუფალმა - რომ ერთადერთი ხელისუფალი იყო, რომელსაც აქციები დასჭირდა, აქციამ მოსთხოვა და აქციის მოთხოვნა იყო, რომ განაცხადი შეევიტანოთო. დაგვავიწყდა, „შავი დღე გაუთენდა ქართულ დემოკრატიასო" რომელ დღეს თქვეს დასავლურმა ლიდერებმა? შემთხვევით იმ დღეს ხომ არა, კანონს რომ იღებდნენ? თბილისის მერი გვყავს დღეს და დაავიწყდა თბილისის მერს, რომ მთელი ქალაქი იყო გარეთ გამოსული, მათ შორის, მისი კოლეგები, შოთა არველაძით დაწყებული, ხვიჩა კვარაცხელიათი დამთავრებული. ორი წარმატებული სპორტსმენი, ვინც მახსენდება, ვინც მხარი არ დაუჭირა იმ ამბავს, ერთი კობიაშვილი იყო და მეორე - კახა კალაძე. დაგავიწყდათ რომელ მხარეს იყავით? ხალხს ვისთან ბრძოლა მოუწია ევროპისთვის? იმ დღეს, ხალხს მოუწია „ქართული ოცნების" დეპუტატებთან ბრძოლა ევროპისთვის. დაგავიწყდათ რომელი პარტიის პროპაგანდა იყო აწყობილი ისე, რომ „დასავლეთში არის გარყვნილება"? დაგავიწყდათ „იმედი", პოსტ ტვ" რას ამბობდა? დაგავიწყდათ, რომ ამბობდით, რომ „ამათ ომი უნდათო და მეორე ფრონტი უნდა გაიხსნასო?" აბა, ვინ მოგთხოვათ „მეორე ფრონტის გახსნა" დღეს რომ ზეიმობთ? რას ზეიმობთ, მეორე ფრონტს აპირებთ თუ რას შვებით? აღიარეთ მაშინ, რომ ან იტყუებოდით, ან არ გინდათ ეს კანდიდატის სტატუსი. თქვენ დაგავიწყდათ რომელ მხარეს იყავით. იმ დღეს სამოქალაქო იდენტობა და ნაციონალიზმი დაიბადა და თქვენ მეორე მხარეს იყავით. ამიტომ იყო, რომ მომღერალი იქნებოდა, წარმატებული სპორტსმენი, პოლიტიკოსი თუ ვინც არ უნდა ყოფილიყო, თქვენს გარდა, ყველა ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც იქ ხდებოდა. იმ დღეს წააგეთ თქვენ სინამდვილეში..." ცოტნე კობერიძემ ისაუბრა ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები და თბილისის მერი ხშირად ამბობენ, რომ „უპრეცედენტოდ დიდი ბიუჯეტი გვაქვს წელს", რაც მისი თქმით, იგივეა, რომ ყოველ დღე თქვა „უპრეცედენტოდ გაზრდილი ვარ", რადგან ჩვეულებრივი პროცესია ის, რომ ბიუჯეტი ყოველ წელს უფრო დიდია; ვიდრე წინა წელს. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ „ქართული ოცნება" თავად იქცეოდა იმის შესაბამისად, რომ ევროპა არ უნდოდა, რისი ნათელი მაგალითი არის ის, რომ ერთადერთი პარტია და ხელისუფალია, რომელმაც ბიუჯეტიდან დახარჯა ფული, რათა „facebook"-ზე ანტიდასავლური პროპაგანდა ეწარმოებინა და ეს თავადაც იციან.

ლევან ჟორჟოლიანმა კიდევ ერთხელ მიულოცა საქართველოს მოქალაქეებს წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც ჰქვია ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და განაცხადა, რომ დღეს ვართ ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე, რასაც ცხადყოფს ის განწყობა, რომელიც არის საზოგადოებაში და ჩვენ კიდევ ერთი ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით ევროკავშირისკენ და იმ გაერთიანებისკენ, რომელშიც, რა თქმა უნდა, ბუნებრივად არის ჩვენი ადგილი, რადგან რეგიონში საქართველო მართლა ლიდერია და უსაფუძვლოა იმაზე საუბარი, თითქოს ქვეყანა სადღაც რაღაცაში ჩამორჩა. არ შეიძლება საქართველოს მოსახლეობისთვის შეურაცხყოფის მიყენება და იმის თქმა, რომ თურმე 30 წლიანი შრომა, რომელიც ჩადო ათიათასობით საჯარო მოხელემ და უამრავმა ადამიანმა, ერთი კონკრეტული მოვლენის შედეგი ყოფილა და აქამდე ქართველი ხალხი არ იმსახურებდა ევროპის წევრობას. აქვე, განაცხადა, რომ ყველა კარგად ხვდებოდა, რომ ოპოზიციის მთელი ნარატივი აგებული იყო კანდიდატის სტატუსის არმიღებაზე და ოპოზიციონერებმა გაიხსენონ თავიანთი პარტიის ლიდერები, რომლებიც ცალსახად ადასტურებდნენ, რომ „საქართველო ვერ მიიღებდა კანდიდატის სტატუსს“ და საქართველოს მოქალქეებს მოუხადონ ბოდიში იმისთვის, რომ ერთი პატიმრის ჯანმრთელობას უკავშირებდნენ ქვეყნის ევროინტეგრაციას და სამარცხვინო რეზოლუციებს აინიცირებდნენ ევროსაბჭოში. ლევან ჟორჟოლიანმა ასევე, ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტზე და მიმართა ქალაქის მერს: „თუ წლის განმავლობაში, ცენტრალური ხელისუფლებისგან არ იქნება საკმაო კონტრიბუციები, ჩვენ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ვერ ვიქნებით ისეთი წარმატებული, როგორიც გვინდა და ამიტომ, ვიტოვებ ძალიან დიდ იმედს, რომ ეს კონტრიბუციები იქნება და ჩვენ შევძლებთ, რომ იგივე გამგეობებს დავეხმაროთ, რადგან, სამწუხაროდ, ყველაფერს ეხლა გაუვიდა ვადა ამ ქვეყანაში - ეს არის ის საბჭოთა მოძველებული ინფრასტრუქტურა, რომელსაც სჭირდება გამოცვლა და სწორად აღვნიშნეთ, რომ თითი თითზე არ დაუდია არავის და არ მიუხედავს ისე საფუძვლიანად, როგორც ეხლა ვაკეთებთ“.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს წარდგენილი ანგარიშისთვის, რომელიც, მისი თქმით, იყო ძალიან ნიშანდობლივი, საინტერესო და დეტალური. შეუერთდა ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსის მიღებასთან დაკავშირებით გამოთქმულ მილოცვებს და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვან საქმეში წვლილი შეიტანა - დიპლომატიის წარმომადგენლებს, საჯარო მოხელეებს და პოლიტიკოსებს, რომლებიც თერთმეტი წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდნენ იმისთვის, რომ ეს შედეგი მიგვეღო. აქვე განაცხადა, რომ სურს მადლობა გადაუხადოს ოპოზიციას, რადგან, მისი თქმით, მათ რომ არ შეეშალათ ხელი, ამ შედეგს ვერ მივიღებდით - „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერით, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, შემდეგ იყო თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო მიმოსვლა, ევროპული პერსპექტივა და კანდიდატის სტატუსის მიღება და ამ ყველაფრისთვის, რომ ოპოზიციას და „ნაციონალურ მოძრაობას“ მხარი დაეჭირა, ეს შედეგი არ გვექნებოდა. ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ჩვენ გავაგრძელებთ წინსვლას, რომელიც იქნება ხელშესახები, რადგან ამის შემდეგ გაიხსნება მოლაპარაკებების მაგიდა და აუცილებლად გავხდებით ევროკავშირის წევრები - ეს არის გარდაუვალი რამ. ისაუბრა თბილისში საცობების კუთხით არსებულ პრობლემაზე, რომელიც, მისი თქმით, არის ის ერთადერთი გამოწვევა, რომელზეც აპელირებს ოპოზიცია და აღნიშნა, რომ არსებობს გეგმა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის შემოღება და არის ხედვა, როგორ უნდა წავიდეთ წინ და დარწმუნებულია, რომ მივიღებთ სასურველ შედეგს, თუმცა, ამას სჭირდება დრო, მოთმინება, შრომა და „ჩვენ, გავაგრძელებთ ჩვენ საქმეს“.

ნინო რუხაძემ განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მანძილზე, ალბათ არ არის ბევრი ისეთი მომენტი, როდესაც ქართველებს შეეძლოთ ეთქვათ - „როგორ გამიმართლა, რომ ისტორიის ამ პერიოდში ვცხოვრობ“ და ფიქრობს, რომ დღეს, ჩვენს თანამედროვეებს შეუძლით ამის თქმა, რადგან ვართ ისტორიული ფაქტის მომსწრენი, ვუახლოვდებით ჩვენი ქვეყნის და ერის საუკუნოვანი მისწრაფების რეალიზების და საუკუნოვანი ოცნების ახდენის

ზღურბლს. მისი თქმით, საქართველოს მუნიციპალიტეტებს შეტანილი აქვთ წვლილი იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც გუშინ მიიღო ევროპულმა საბჭომ და ყველაზე წონადი წვლილი ამ საქმეში შეტანილი აქვს თბილისის მუნიციპალიტეტს - მიმდინარე წელს, თბილისში ჩატარდა ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს ყველაზე დიდი პოლიტიკური გაერთიანების სხდომა, რა დროსაც თბილისში ჩამოვიდნენ ევროპის მუნიციპალიტეტების პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომლებიც ერთხმად და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ თბილისი არის ნამდვილი ევროპული ქალაქი და თბილისში თავს გრძნობდნენ ევროპაში. აღნიშნა, რომ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია მმართველობის ყველა დონეზე, მათ შორის, თვითმმართველობის დონეზე, არსებობდეს განცდა, რომ ჩვენ ვართ ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი და განაცხადა, რომ ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვართ იმ დიდი წარმატების თანამონაწილეები, რომელსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ. ნინო რუხაძემ აღნიშნა, რომ „ეს არის ძალიან კარგი და არაჩვეულებრივი გრძნობა“ და ოპოზიციონერი კოლეგების მისამართით განაცხადა - „თავს ნუ წაართმევენ ქვეყნის წარმატებასა და გამარჯვებაში თანამოწილეობის განცდას“. ისაუბრა 2024 წლის ბიუჯეტზე, აღნიშნა, რომ მის მიერ, მოძიებული იქნა ინფორმაცია, თუ როგორ არის განაწილებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ევროპის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით, თბილისის ბიუჯეტი შეესაბამება ევროპული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებლებს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტში არის მკვეთრად გამოხატული სოციალური აქცენტები, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თბილისელებისთვის და არის მოქალაქეების მიმართ სოლიდარობის გამომხატველი გზავნილი.

გიორგი ტყემალაძის თქმით, სამწუხაროდ, დღევანდელი სხდომა წარიმართა ისე, როგორი მოლოდინიც იყო - ნაკლები მსჯელობა საკითხებზე და მეტი პოლიტიკა და ბრალდებები. აღნიშნა, რომ მოვისმინეთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ანგარიში იმასთან დაკავშირებით, რაც კეთდება თბილისში და ასევე, გვაქვს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სამართლიანადაა გადანაწილებული ჩვენი თანამოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების მიხედვით. გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 1 დადგენილება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი